პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 43 (1472), პარასკევი, 22 ოქტომბერი. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

18 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების მდივნები, მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი.

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ო. ი. ლოლაშვილი,** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. გ. გომელაური,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ო. კობახია,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. **ნ. ი. მუსხელიშვილი,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. დ. თხილაიშვილი,** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. **გ. პ. სამხარაძე,** ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ო. ი. ჭოხონელიძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **გ. ნ. ჯუსოევი,** ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მუშა ამხ. **ვ. ი. ზაზდრავნიხი,** საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ზ. ა. პატარიძე,** საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. დ. კიკნაძე,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ე. მ. ჯაფარიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ო. ე. ჩერქეზია,** რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორი ამხ. **ნ. ნ. ხოფერია,** საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გ. ე. აზაურაშვილი.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს კომპარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევა—მოხსენება გააკეთა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

პლენუმმა მიიღო დადგენილება — საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა მოწვეულ იქნას 1966 წლის 2 მარტს.

პლენუმმა დაამტკიცა ყრილობის დღის წესრიგი, ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმები და დელეგატების არჩევის წესი.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. **შ. ა. დოლიძე** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

19 ოქტომბერს თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. იგი მიმდინარეობდა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებებით. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ. ყველგან ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მომავალი ყრილობის აღსანიშნავად. შეჯიბრების მონაწილენი ცდილობენ თავდადებული შრომითი წარმატებით შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი, პარტიის მიერ სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

დარბაზში არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან, რათა განიხილონ უმნიშვნელოვანესი საკითხები, დასახონ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზები.

დილის 10 საათზე იხსნება სესიის პირველი სხდომა.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები: მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მთავრობის წევრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა რ. რ. დვალმა.

ერთხმად მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და სესიის მუშაობის რეგლამენტი. მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე — „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების შესახებ" — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ.

მოხსენების გამო გამართული კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მომხსენებელმა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ.

აღნიშნული კანონის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.

შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ.

დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცებას, რომლებიც მიღებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე და მეექვსე სესიებს შორის. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოიცა სესიებს შორის განვლილ პერიოდში, მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

დეპუტატ მ. ა. გოგიჩაიშვილს წინადადება შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ, რასაც სესია ერთხმად ამტკიცებს. ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

მიხეილ შოლოხოვი — ნობელის პრემიის ლაურეატი

შვეციის სამეფო აკადემიამ 15 ოქტომბერს ნობელის პრემია მიანიჭა საბჭოთა მწერალს მიხეილ შოლოხოვს, როგორც რუსი ხალხის ცხოვრების ისტორიული წლების ეპოქალური ნაწარმოებების შემქმნელს.

ნობელის პრემიის ლაურეატმა მიხეილ შოლოხოვმა 18 ოქტომბერს სტოკჰოლმში სამეფო აკადემიას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გულითადად გმადლობთ ჩემი ლიტერატურული შემოქმედების მაღალი შეფასებისა და ნობელის პრემიის მონიჭებისათვის. აგრეთვე მადლობით ვიღებ თქვენს თავაზიან მიწვევას — ჩამოვიდე სტოკჰოლმში ნობელის დღესასწაულზე. მიხეილ შოლოხოვი".

მიხეილ შოლოხოვს

ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს ძევ! თქვენმა მეგობარმა ქართველმა მწერლებმა სიხარულით შეიტყვეს შვეციის სამეფო აკადემიის გადაწყვეტილება თქვენთვის ნობელის პრემიის მონიჭების შესახებ.

თქვენმა უდიდესმა მხატვრულმა ტალანტმა დიდიხანია დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო აღიარება, თქვენ ხართ თანამედროვე ლიტერატურული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, მხატვრული სიტყვის უბრწყინვალესი ოსტატი. თქვენი რომანები ფართოდ გავრცელდა დედამიწის ყველა კუთხეში და მსოფლიოს მრავალი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

ქართველი მწერლები ამ დიდ ჯილდოს სულით და გულით გილოცავენ და ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებენ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

• • •

„ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია მხურვალედ ულოცავს ძვირფას მიხეილ შოლოხოვს დამსახურებულ ჯილდოს და ახალ შემოქმედებით სიხარულს უსურვებს.

მაღაზიას ჰქვია „პოეზია"

ხარკოვში, გოგოლის ქუჩაზე არის წიგნის ერთი მაღაზია, რომელსაც ჰქვია საკმაოდ ორიგინალური სახელი „პოეზია". აქ იყიდება პოეტური ნაწარმოებების კრებულები. ამავე დროს მაღაზიის მუშაკები და მაღაზიასთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს წევრები ეწევიან პოეზიის პროპაგანდას. ამ საბჭოს ხელმძღვანელობს პოეტი ბორის კოტლიაროვი. „პოეზიას" აქვს თავისი ბიბლიოთეკაც, სადაც ახალ პოეტურ წიგნებს ეცნობიან მკითხველები.

ამასწინათ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის ინიციატივით მაღაზიაში შეიქმნა ქართული პოეზიის კუთხე. ხარკოველი პოეზიის მოყვარულნი ინტერესით ეცნობიან ქართველი პოეტების ლექსების კრებულებს.

რუსთაველის იუბილის წინ

ქუთაისში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის.

საზოგადოება „ცოდნის" ქუთაისის განყოფილება სისტემატურად მართავს საჯარო ლექციებს რუსთველოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. მწერალთა კლუბში ლექციები წაიკითხეს პროფესორმა კ. მეძველიამ, დოცენტებმა დავით ბრეგაძემ, მიხეილ მახათაძემ და სხვებმა.

ქუთაისში მომუშავე მწერლები წერენ რუსთაველისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს.

მწერლებთან ერთად რუსთაველის იუბილისათვის ემზადებიან მუსიკისა და თეატრალური ხელოვნების ოსტატებიც. მხატვრები მუშაობენ ახალ ფერწერულ ტილოებზე. ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი თავის რეპერტუარში ითვალისწინებს რუსთაველისადმი მიძღვნილ დიდ საღამოს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ჩატარდეს „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული კითხვის კონკურსი და დიდი ლიტერატურული საღამო.

რუსთაველის იუბილისათვის გამოვა ერთდღიური ლიტერატურული გაზეთი. დიდ ქართველ პოეტს მიეძღვნება ალმანახ „რიონის" ერთ-ერთი ნომერი.

აკაკისადმი მიძღვნილი

20 ოქტომბერს შედგა აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ბ. ჟღენტის ინფორმაცია იუბილისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და დაამტკიცა იუბილის ჩატარების გეგმა.

14 ნოემბერს დღის 12 საათზე სხვიტორში გაიმართება მიტინგი, რომელსაც გახსნის საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი პ. ნოზაძე.

15 ნოემბერს, დღის 2 საათზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები მთაწმინდის პანთეონში გვირგვინებით შეამკობენ პოეტის საფლავს. იმავე დღეს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. მოხსენებას წაიკითხავს პოეტი გრიგოლ აბაშიძე.

დიდი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოებს ჩაატარებენ აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიმართება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები და ლექციები, თბილისის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი და კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მოაწყობენ სპეციალურ გამოფენას.

მწერლების სახელობის ახალი ქუჩები

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა ზოგიერთ ქუჩას სახელწოდება შეუცვალოს. კიროვის რაიონის ბოლნისის ქუჩას დაუბრუნდა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. გრიშაშვილის სახელი.

აღმასკომმა დააკმაყოფილა საქართველოს მწერალთა კავშირის შუამდგომლობა და ოქტომბრის რაიონში წყალსაწრეტის ქუჩას მიანიჭა ცნობილი ქართველი მწერლის დ. სულიაშვილის სახელი, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში ქობულეთის აღმართს — გ. შატბერაშვილის აღმართი. ამავე რაიონში კანდელაკის ქუჩასა და მთის ფერდობს შორის მდებარე ქუჩას ეწოდა ს. ეულის (ს. ქურიძის) სახელი, ოქტომბრისა და 26 კომისრის რაიონებში მდებარე ქუჩას, რომელიც ბარათაშვილის და ლენინის აღმართებს შორის არის მოთავსებული, — დ. მეგრელის ქუჩა.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და საიუბილეო კომისიის შუამდგომლობით ავჭალაში (ლენინის რაიონი) ნ. ვაჩნაძის ქუჩა ამიერიდან დიდი ქართველი რეჟისორის ვ. ყუშიტაშვილის სახელს ატარებს (ნ. ვაჩნაძის ქუჩა არსებობს კალინინის რაიონში).

მოუსვენარი ადამიანები

ნარკვევი

სამქრო არც თუ ისე დიდია. ბრუნავს ჩარხები, ისმის მოტორების რიტმული გუგუნი, იკეთება სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვადასხვა დეტალები. მერე მათ ინჟინერი ირაკლი გოზალიშვილი ამოწმებს:

— კარგია! — ნახელავს უქებს რესპუბლიკის დამსახურებულ ზეინკალს ივანე კველაშვილს. ივანე შუბლზე მომდგარ ოფლს წინსაფრის კალთით იწმენდს.

ინჟინერი ახლა ნოდარ გაფრინდაშვილის დაზგასთან შეჩერდა. ხელში აიღო ახლად დამზადებული ქანჩი.

— არ ვარგა, ორი წრე აკლია. — მიუთითა ახალგაზრდა ოსტატს. ნოდარმა ხმაურში ვერ გაიგო მისი ნათქვამი და მარჯვენა ხელი ყურთან მიიტანა.

— ორი წრე აკლია, — გაიმეორა ინჟინერმა. ზეინკალმა მოტორი გამორთო, თვითონ შეამოწმა საკუთარი ნამუშევარი.

— ეს როგორ მომივიდა? — ჩაილაპარაკა თავისთვის და კვლავ დაზგას დაუბრუნდა.

იქვეა ძრავების შემკეთებელი სამქრო.

სოფლტექნიკის ლაგოდეხის განყოფილების სამქროებში წარმოებს რაიონის კოლმეურნეობების მანქანა-ტრაქტორების შეკეთება და მათი ცალკეული ნაწილების დამზადება.

პარკის მოზრდილ შენობაში „დტ-54" მარკის ტრაქტორი დგას. იგი ცოდნისკაროს ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. სამემოდგომო ხვნის დროს დაზიანდა. მინდორში შეუძლებელი იყო მისი შეკეთება. ტრაქტორის „მკურნალობა" ივანე სალანიცინს და იაკობ მაშენკოს მიენდო. მათ კარგად იციან, თუ რა უღირს კოლმეურნეობას ყოველი დაკარგული წამი.

განაპირა ოთახი ნახაზებით არის სავსე. ნახაზები გიორგი მათიაშვილის ნამუშევარია. გიორგის ბელტის სამტვრევი ფარცხის ნახაზი გაუშლია, კრიტიკული თვალით უცქერის, რკინის სპეციალური ფარგლით რამდენჯერმე ზომავს; რაღაც არ მოეწონა, წითელი ფანქრით გადახაზა. ახლის დახაზვას შეუდგა.

— ეს რა ჰქენი? — ჰკითხა სამქროს უფროსმა შალვა ზარიზაშვილმა.

— შეცდომა მომსვლია. ოცდათოთხმეტი კბილის ნაცვლად ოცდათხუთმეტი უნდა იყოს.

ზარიზაშვილმა სათვალე მოიმარჯვა, სკამი მაგიდასთან მისწია და ისე დაუწყო სინჯვა დაწუნებულ ნახაზს.

— მართალი ყოფილხარ — დაბალი ხმით უთხრა მომავალ ინჟინერს. მერე ახალი ნახაზი შეამოწმა და აღფრთოვანება ვეღარ დაფარა:

— ყოჩაღ, აი, ეს კი მწამს.

გიორგი მათიაშვილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სიმწიფის ატესტატით მოვიდა სამქროში. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ტექნიკა. მალე დაეუფლა ხარატის პროფესიას. ინჟინრის რჩევით გიორგიმ მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ჭაბუკი ახლა IV კურსის სტუდენტია და მთელი ენერგიით ეუფლება ტექნიკის „ენას". მისი ინიციატივით ბევრმა კოლმეურნეობამ დანერგა სასილოსე მწვანე მასის კომბაინით აღებისა და საოში ტრაქტორების გამოყენების ახალი მეთოდი.

— გიორგი, ერთი წუთით, თუ შეიძლება! — ოთახში შემოვიდა მექანიზატორი გრიგოლ კვიციანიძე, რომელსაც მაზუთით ამოსვრილ ხელში შიგაწვის ძრავის დაზიანებული ნაწილი ეჭირა.

— რა იყო, ძია გრიშა, რა გაგჭირვებია? — შეაგება სიტყვა გიორგიმ.

— ტრაქტორის ცილინდრი ჩამშალა, ახალი არა მაქვს, შეკეთებაზე კი არავინ იწუხებს თავს.

გრიგოლ კვიციანიძე „ბახრიკიანში" სავენახე მიწას აბრუნებდა, უცებ მოტორის მძლავრი ჯახანი გაიგონა და ტრაქტორიც დადუმდა. კარგად იცის გიორგიმ, რომ „ძია გრიშა" ტყუილს არ იტყვის, იცის, რომ იგი საქმის კაცია და არასოდეს არ უღალატებს თავის „მერანს". ამიტომ სამქროში თვითონ გაჰყვა მას.

დრო შრომაში და ძიებაში იწურება. საათის ისრები პირველს უახლოვდება. შესვენების დროც მოვიდა.

— წავიდეთ, ბიძიკო, ვითამაშოთ, — გამოსძახა ნოდარ გაფრინდაშვილმა გიორგი მათიაშვილს.

— არა მცალია, საქმე მაქვს, — ნახაზებიდან თავი არც კი აუღია, ისე უპასუხა გიორგიმ.

მეზობელ ოთახში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი სოფლტექნიკის ლაგოდეხის განყოფილების მმართველმა შალვა გოზალიშვილმა აიღო.

— დიახ, გისმენთ! — მცირე პაუზის შემდეგ ყურმილი ისევ დადო. მერე ტექნიკური მომსახურების სადგურის უფროსს რაჟდენ სეფიაშვილს გამოეძახა. კაბინეტში ორმოცდაათ წელს გადაცილებული, თმაშევერცხლილი მამაკაცი შემოვიდა. ლოყაზე შერჩენილი იარა მეტყველებს, რომ სამამულო ომის მონაწილეა.

— შრომის კოლმეურნეობიდან შეგვატყობინეს. — „მშრალ ღელეში" ტრაქტორი დაზიანდა. დროზე მიხედე!

— კეთილი.

ერთი წუთის შემდეგ ტექნიკური მომსახურების მანქანა სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მინდვრისაკენ მიჰქროდა. ჰაერში ხმელი თივისა და მწიფე ვაშლის სურნელი ტრიალებდა. რაჟდენმა შორიდან შენიშნა სასილოსე სიმინდში მდგარი ტრაქტორი. მძღოლმა უთქმელად გაიგო ოსტატის ფიქრები, ერთი მიხედა და სვლას უმატა.

დღე ერთია, საქმე კი ათასი. ციფრების ენით რომ ვთქვათ, მიმდინარე წლის სამ კვარტალში განყოფილებას უნდა შეეკეთებინა 67 ტრაქტორი, 10 ძრავა, 40 კომბაინი, 18 გუთანი და 15 სათესი მანქანა. მაგრამ ჯგუფმა შეძლო გადაჭარბება. გეგმის ზევით მწყობრში ჩადგა 6 ტრაქტორი, 5 ძრავა, 8 კომბაინი, 7 გუთანი და 9 სათესი მანქანა. წარმოების მიერ მთლიანად გამოშვებულია 97.000 მანეთის პროდუქცია, ნაცვლად სამოცდაშვიდი ათასისა.

და განა მარტო ეს?.. განყოფილებას აქვს თავისი ტრაქტორებიც. მისი ათი ტრაქტორი მომსახურებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს. ცხრა თვის განმავლობაში მათ 18.800 ჰექტარი უნდა დაემუშავებინათ, ფაქტიურად დამუშავებულია 20.400 ჰექტარი. თვითეულ ჰექტარზე 8 კილოგრამი საწვავი დაიხარჯა, მაშინ როცა გეგმა 12,5 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ორი წლის მანძილზე განყოფილება რესპუბლიკური გარდამავალი დროშის მფლობელია. ამიტომ სამქრო ყოველთვის ადრე იღვიძებს, იღვიძებს და... გვიან საღამომდის არ წყდება ჩარხების ბრუნვა, მოტორების ხმაური, დროსთან შეჯიბრში იკეთება დეტალები, მზადდება ნაწილები, მწყობრში დგება ტრაქტორები, კომბაინები, გუთნები, სათესი მანქანები.

დღე შრომასა და ძიებაში იწურება. გომბორის მხრებზე შემდგარი შემოდგომის ელამი მზე მთებს გაღმა ეხვენება. ლაგოდეხის მხრიდან წამოსული ნიავი ასწლოვან ხეებს უხსნის საყელოს. სამქროს დუმილი ეუფლება. საკმაოდ დაღლილი შავტუხა ჭაბუკები სტოვებენ დაზგებს, სტოვებენ, რომ ხვალ ახალი ენერგიით შეუდგნენ საქმეს.

ანზორ ჯიბლაშვილი

მოლდაველ მწერალთა ყრილობა

ამ დღეებში გაიმართა მოლდაველ მწერალთა კავშირის მესამე ყრილობა. ყრილობამ მოისმინა მოლდავეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ი. ჩობანუს მოხსენება თემაზე: „მოლდავური საბჭოთა ლიტერატურა და თანამედროვეობის პრობლემები". შემდეგ ყრილობამ მოისმინა თანამოხსენებები. გ. მენიუკმა ილაპარაკა ლიტერატურის აღმზრდელობით როლზე, ს. ჩიბოტარუმ — თანამედროვე მოლდავური კრიტიკის მდგომარეობაზე, ხ. კორბუმ — დრამატურგიის საკითხებზე. მოხსენებისა და თანამოხსენებების განხილვისას ორატორებმა ბევრი საინტერესო საკითხი დააყენეს.

მოლდაველ მწერლებს გულთბილად მიესალმნენ თანამოკალმენი — მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მწერლები რაიონებსა და სოფლებში

ვოლინში ჩავიდა უკრაინელ მწერალთა დიდი ჯგუფი იური ზბანაცკის ხელმძღვანელობით. ჯგუფში არიან ცნობილი პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, სატირიკოსები, კრიტიკოსები — ლიტერატურის ყველა ჟანრის წარმომადგენლები.

მწერალთა მეორე ასეთივე ბრიგადა, რომელსაც ვასილ კოზაჩენკო ხელმძღვანელობს, კარპატისპირეთში გაემგზავრა. სუმის ოლქს ეწვია მწერალთა მესამე დიდი ჯგუფი, ლენინური პრემიის ლაურეატის ოლეს გონჩარის ხელმძღვანელობით.

ასე დაიწყო ეს თავისებური ლიტერატურული ლაშქრობა, რომელსაც უკრაინელი მწერლები ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს უძღვნიან. მწერლები საოლქო ცენტრიდან წავლენ რაიონებში და სოფლებში, შეხვდებიან მშრომელებს, დაეხმარებიან ადგილობრივ ლიტერატორებს. მწერლებმა თან წაიღეს რამდენიმე ათასი წიგნი, რომლებსაც კარპატისპირეთისა და ვოლინის ოლქის სოფლის ბიბლიოთეკებს გადასცემენ საჩუქრად.

ი. იანონისის იუბილისათვის

მომავალი წლის 5 აპრილს სრულდება ცნობილი ლიტველი პოეტის იულიუს იანონისის დაბადების 70 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად გამოიყო რესპუბლიკური კომიტეტი ედ. მეჟელაიტისის თავმჯდომარეობით.

ლიტვის ერთ-ერთმა კოლმეურნეობამ, რომელიც იულიუს იანონისის სახელს ატარებს, დააწესა პოეტის სახელობის ლიტერატურული პრემია. ი. იანონისის სახელობის პრემია ყოველწლიურად მიენიჭება საკოლმეურნეო ცხოვრებაზე დაწერილ და ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილ საუკეთესო პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს.

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან.



სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტას" ესკიზი. მხატვარი ი. სუმბათაშვილი.

გიორგი ლეონიძე

ბესიკის ღამე იასში

მე დავყურებ უცხო ქალაქს,
ბევრი მითხრა, ბევრიც ვკითხე...
უკვე სძინავს ყოველდღიურ
საქმეს,
ზრუნვას,
ქალაქის დღეს.

ეკიდა ცას ვარსკვლავი,
ღამე ქუჩას მიეყუდა...
ბინდში მესმის ხმა საკრავის,
საყვედური გარიყულთა...

თითქოს ვინმე მიშვერს ცალხელს,
ვიღაც თითქოს გადმომხმობა...
ის ალვისზე რად ცახცახებს,
უცბად ზეცა რად განათდა?

ამტვერებულს მთვარით ცაში
მისდევს ლანდი მიმქრალ აჩრდილს;
გამოშვერილ ხელებს ვხედავ,
მუდარებით: ჩემთან დარჩი!

ვუსმენ მიჯნურს გაფასებულს,
მოკრთის მთვარის ანათალი...
აელვარდა ანაზდეულ
ვარსკვლავებში ანას თვალი.

სად მოფრინდა სიყვარული,
სად გამოჰყვა ბრწყინვალება,
და თუ ფერფლში იმალება,
ცეცხლით როგორ იღლება?

რად შესტირა ჭიანურმა
მინაცრებულ ღაღადისით
და „მშვიდობით!" რად სთქვა გულმა,
თუ კი ითქვა „ნახვამდისინ"?

ვინ შესჩივის ირმის ნახტომს,
რძის ნაკადით გადათოვლილს?
ვის უამბობს გადანახდომს,
გადამტვრეულ ლერწმის თრთოლვით?

— ეს მიცვლილი ოცნებაა,
აჰყოლია ვარსკვლავთ ციალს:
ეს ბესიკის მუსიკაა!
ხმა სულაც არ გამოსცვლია.

აქ, რა უნდა ამ საღამოს,
რას წკრიალებს ჰაერიდან?
აკი მეფის რისხვის გამო,
შავ თვალთ სიღრმეს გაერიდა.

ხომ იწამნენ გოლგოთაზე,
ხომ დალიეს ერთად შხამი?
რად ლივლივებს ღამის ფრთაზე
ორი ოქროს მოსასხამი?

ვინ დასამზღვრა, ცამ თუ მიწამ,
გული გულს სად ეგებება?
თუ სწყურიათ ორთავ, იმ წამს,
ლურჯ ეთერში შეწებება. —

ერთურთს ჩაჰყვნენ სულის ფსკერში,
გადადნენ და აღდგნენ ერთად,
ადუღებულ მზის ჩანჩქერში,
მშვენების და ლექსის ღმერთად!

მე არ ვიცი, სად ვთქვა „ამინ"!
რა შევკითხო შავ კვიპაროსს?
ითაფლება ღამის ნამი,
ვისთან უნდა გაიპაროს?

სხივში ნაქსოვ სულს რა სწყურის,
სულის ცეცხლი ბნელს თუ იგნებს?
უკვდავებას თუ აქვს წყლული,
სიყვარული ჰქვიან იქნებ?

მოსდევს ბედი გამკაცრებით,
ჩარჩენია წყლულში დანა...
სცვივა შავი ვარსკვლავები
ბესიკის ცას, საიდგანაც...

ცა რადაა ასე ლურჯი,
გული რისთვის ახმაურდა?
ან სევდის ბალს ამოფურჩქნილს,
ამ ქართულ ბალს, აქ რა უნდა?

ან ქალაქზე, მე რომ დავმზერ,
ღამე რისთვის ილამაზდა?
თითქოს ვდგევარ მთაწმინდაზე,
თითქოს ლექსს ვწერ ალაზანთან...

თამარდედა

ხეხილის შტო შხმოიარობს,
ვაზი ჰშვენის შესახედად...
ცოტანი ვართ, ქართველები,
გაგვიმრავლე, თამარდედა!

ზოგსა სძინავს მარაბდაში,
და ქერჩში წევს ზოგი მიწად,
არ ყოფილან არადანში,
ყველა ხაღდად გადაიწვა!

ხალხის გულის ასაძგერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასაწერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს ასაგები
შენობანი, სართულები,
გასათხრელი რუსხმულები,
დასაკიდი ნათურები;
ჩვენ ბევრი გვაქვს დასარგველი
ვაზი, ვარდი, ზედი-ზედა,

ჩვენ ბევრი გვაქვს გასარბენი
მომავალის დასახედად,
დაგვეხმარე,
მოგვეშველე,
გაგვიმრავლე, თამარდედა!

შენი კაბის ნათელი მწვავს,
შენი ღიმი მეიმედა!
მკერდს მიყრდნობილ ყრმით რომ გხედავ,
რა მიყვარხარ, თამარდედა!

უმზესო და უნაზესო,
თავზე გადგა ნათლის შუქი.
შენ ხომ სავსე ვენახი ხარ,
დასხმულ მტევნის სიჰაბუკით.

შენ ხომ, დაო და დედაო,
რიცხვმცირობას ჩვენსას ჰხედავ, —
ცოტანი ვართ, ქართველები
გაგვიმრავლე, თამარდედა!

---

* თამარდედა ქართველი ქალის ძველი სახელია.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. ანტიგონე — ს. კორკოშკო, ისმენე — მ. გერასიმენკო.

ანტიგონეს მაღალი მოთქმა

სოფოკლე ანტიგონეს უწოდებს ლაბდაკიდების გვარის უკანასკნელ ყვავილს, რომელსაც ბნელი ჰადესის ღმერთების სისხლიანი სვერია შეეხო. ქორო მღერის ამ ქალწულზე ვითარცა წყვდიადში გაელვებულ სხივზე. ხოლო თვით ანტიგონე ამბობს: — მე დავიბადე არა სიძულვილის, არამედ სიყვარულის გამო. სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე" იწყება ფერების ამ კონტრასტული თამაშით, აქ მზის ოქროსფერი სხივი მეტ სიმძაფრეს აძლევს შედარებით თებეს წინ დაღვრილ სისხლს და ირეკლება ხმლებსა და საჭურველზე.

კონტრასტული მოტივი, იმედის სხივისა და სასოწარკვეთის, სიყვარულისა და სიძულვილის, უმწეობისა და სიმედგრის, თეთრი და შავი ფერის თამაში და მონაცვლეობა გასდევს რეჟისორ დ. ალექსიძისა და მხატვარ ფ. ლაპიაშვილის მიერ დადგმულ „ანტიგონეს" კიევის ფრანკოს სახელობის თეატრში. მთელი სპექტაკლი სუნთქავს პოეზიითა და ტრაგიკული სიმძაფრით, მის ყოველ კომპონენტს აჰყვია ის სისადავე და ლაკონიზმი, გამჭვირვალება აზრისა და გრძნობის, რაც ძველ ბერძნებს სტილის და გემოვნების საუკეთესო ნიმუშად მიაჩნდათ. სპექტაკლის ამაღლებული ტონი არსად არ გადადის ცრუ პათეტიკაში, ხოლო მისი ლირიული ნაკადი შორსაა ყოველდღიური პროზისაგან. რეჟისორი თამამად მიმართავს მეტაფორულობას, სიმბოლურ გამომხატველობას, თუმცა მშვენივრად იცის, თუ რა შეუმჩნეველი უნდა იყოს ამ დროს მისი ყოველი ნაბიჯი.

სპექტაკლი პირობით, დეკორატიულ პრინციპზეა გადაწყვეტილი. სცენის სიღრმეში დიაგონალურად ეშვება კიბე, რომლის ქვეშ წარმოიქმნება მეორე თაღი. გვერდებზე ჩამოშვებულია ბრტყელი კედლები, სცენაზე იქმნება მოედანი, რომელიც ჰორიზონტალური გრძელი კიბეებით ურთიერთს აკავშირებს. ამ მოედანზე, ტრაგიკული დაძაბულობის ჟამს, კიდევ ერთი კედელი ჩამოდის ხოლმე, რომლის ფონზე ძალიან პლასტიკურად გამოიკვეთებიან ტრაგედიის პერსონაჟები. მთელი ეს გარემო მუქ მოშავო-მონაცრისფრო ტონშია გახვეული. თითქოს ყველაფერს გადაჰკრავს ფერი უძველესი ლითონის [illegible], ეს საბრძოლო ფარისა, რომელთაც, ადამიანის ხელის ხშირი შეხებისაგან რაღაც სითბო შეუძენიათ. ეპიზოდიდან ეპიზოდში ჩამოშვებული კედელი ხაზს უსვამს და აგრძნობინებს ლეიტმოტივური სცენების დაძაბულ თანმიმდევრობას. ამ კედლის წინ გამოდიან შავად შემოსილი ანტიგონე და თეთრებში მორთული ისმენე, აქ მწუხარე ფიქრებით, ტრაგიკულად გაორებული კრეონტი მარტოვდება და ბოლოს თავის უკანასკნელ მონოლოგს წარმოთქვამს კრეონტის მეუღლე ევრიდიკე. ეს ტრაგიკული აღქმების, ლირიული აღსარებების და გამოთხოვების ადგილია. და აქ მაყურებელი თითქოს ტრაგიკული გმირების სულთა მოძრაობის თვით უმცირეს რხევებსაც კი გრძნობს. ხოლო როცა ეს კედელი მაღლა აიწევს და სივრცე იშლება, ამით რეჟისორი მრავალ მოულოდნელ ტრაგიკულ ეფექტს ქმნის.

პროლოგში მარტოდ დარჩენილი ანტიგონე (ს. კორკოშკო) და ისმენე (მ. გერასიმენკო) დასტირიან დაღუპულ ძმებს. ისინი სიბრტყის სხვადასხვა მხრიდან შემოდიან. მწირე სატკივარი აიძულებთ ერთმანეთს სანუგეშო სიტყვები უთხრან. მთელი სხეულით გარინდულან ისინი კიბეებზე და მათ შორის თითქოს დაღუპული ძმების ცხედრებია დასვენებული. ანტიგონე მაღლა ეწევა თავს, მისი მოთქმა წყდება მძაფრი რეპლიკებით და ისმენესადმი მიმართულ მანუგეშებელ ტონს სცვლის განრისხებული ხმა. ისმენეს გაუბედაობა აბრაზებს ანტიგონეს (ისმენე ვერ ბედავს შემწეობა აღმოუჩინოს ანტიგონეს დაღუპული პოლინიკეს დაკრძალვაში, ვინაიდან კრეონტმა აკრძალა სამშობლოს მოღალატისადმი ამ უკანასკნელი პატივის მიგება); ანტიგონე იცავს დაუწერელ, ოდითგან მომავალ, „ზეციურ", უკვდავი ღმერთების მიერ შექმნილ კანონს და არ აღიარებს მოკვდავი კაცის „მიწიერ" კანონს. მშვენიერი იქნება ჩემი სიკვდილი და ძვირფას აჩრდილებს გადამეტებული სახით შევეგებები — ამბობს იგი. მუჭით იღებს მიწას და ყვრიმალით სათუთად ეხება მას, თითქოს ამით ანტიგონე პირველად სინჯავს მის სიცივეს და გრძნობს იმქვეყნიური სამყაროს პირველსავე შეხებას.

უკვე მოახლოვებული სიკვდილის გრძნობისაგან შინაგანად ათრთოლებული ანტიგონე, თავისუფალი თავის გადაწყვეტილებაში, სტოვებს სცენას. ამ დროს მაღლა ადის კედელი და სიღრმეში, ნახევრად ბნელში, გამოჩნდება კიბის თავში განლაგებული ქორო. იგი გარინდულია. წამიც და შეირხევა... ქართული ქორალის ხმაზე ნელა, ფრონტალურად დაიძვრება მაყურებლისაკენ. ეს მომენტი თავისი მოულოდნელი დიდებულებით, რაღაც, თითქოს გაბრწყინებული სიდიადითაც კი, გამაოგნებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ის რელიგიური, ჰიმნური სულისკვეთება, რითაც გამსჭვალულია საერთოდ ბერძნული ტრაგედია, ამ ქორომ თითქოს გამოხატა „შენ ხარ ვენახი", ამ ქართული საგალობლის, ხმებში და მე მომეჩვენა თითქოს რომელიღაც ტაძარში მისტერია სრულდებოდა. აქ გადაიხსნა ახალი სამყარო — თავისი გაწონასწორებული სიდიადით, გათანგული დიდი სულიერი ექსტაზით და დამაფიქრებელი სერიოზულობით. ამ ქორალის წყალობით, ქორის ნელი და საზეიმო სვლით, ჩვენ ვეზიარეთ იმ ამაღლებულ სულს, რომელიც შეადგენს ტრაგედიის არსს. ეს კომპოზიტორ ოთ. თაქთაქიშვილისა და რეჟისორის მშვენიერი მიგნებაა.

რეჟისორი სრულიად განერიდა გარეგნულ ეფექტურ სცენებს, ვინაიდან იგი ჭეშმარიტ თეატრალურ ეფექტს აღწევს სახეობრივი და აზრობრივი მომენტების ჩინებული შერწყმით... კედლის წინ გამოდის ევრიდიკე (ო. კუხენკო), რათა მოქალაქეებს სთხოვოს ყურმოკრული საშინელი ამბის დადასტურება. მაცნე უამბობს მას ანტიგონეს ჩამოხრჩობისა და ჰემონის თვითმკვლელობის ამბავს. ევრიდიკეს თავზარდაცემული მოახლე ქალები დამფრთხალი ფრინველებივით გაფრინდებიან სხვადასხვა მხარეს. ევრიდიკე რჩება მარტო. ჩვენსკენ ხელებგამოწვდილს რაღაცის თქმა სურს, მაგრამ მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებს უაზროდ. შემდეგ მოიკრებს ძალას, შემოტრიალდება და გაიქცევა, რათა მთელის სხეულით ზედ შეასკდეს, ზედ შეეხეთქოს კედელს და ამით ბოლო მოუღოს ტანჯულ სიცოცხლეს, მაგრამ კედელი უცებ ავა ზევით და ევრიდიკე აღმოჩნდება ბნელ, შემაძრწუნებელი სივრცის პირისპირ. თითქოს ამ კედელსაც და ევრიდიკესაც ცხოვრების ბედისწერის ხელი წარმართავს. ასეა გამართლებული ქორის წინათგრძნობა — დედოფალი უსიტყვოდ გაგვშორდა, მოხდება დიდი საშინელება.

ამ ტრაგიკული სპექტაკლის მანძილზე დიდის ტაქტით და გონივრულობითაა დადგმული ძლიერი ემოციური და აზრობრივი სცენები, რომლებიც ერთგვარი საყრდენების როლს ასრულებენ. მათი მეშვეობითაა გამოკრისტალებული სოფოკლეს ფილოსოფიური სიღრმე და პიესის ტრაგიკული კოლიზია.

გმირულისა და ფსიქოლოგიურის, გმირულისა და ლირიკული საწყისის შერწყმა, რითაც ასე გამოირჩეოდა დ. ალექსიძის მიერ დადგმული „ბახტრიონი", აქ ახალ გაგრძელებას პოულობს. ანტიგონეს ხასიათი მოქსოვილია სწორედ ამ გმირულისა და ლირიკული თვისებების ერთიანობით.

კრეონტი ეუბნება ანტიგონეს — „ვინც ზედმეტად ამაყია, მისი მოტეხა უფრო ადვილია". ამ სიამაყეშია სწორედ მისი ძალაც და სისუსტეც. სპექტაკლში მიღწეულია ამ ორი მომენტის ორგანული სინთეზი.

როცა დარაჯებს შემოჰყავთ ხელებშეკრული ანტიგონე, ქორო მოულოდნელობისაგან შეტორტმანდება. მერე შუაზე გაიყოფა, ნელა მიუახლოვდება მას და გაკვირვებული ჩახედავს თვალებში. ქორის ვერ წარმოუდგენია, რომ ამ სუსტ, მომხიბვლელ ქალწულს ასეთი გმირობის ჩადენა შეეძლო.

კრეონტი (ა. გაშინსკი) ფრთხილად შემოხსნის ანტიგონეს ქამარს, თითქოს ხელმწიფეში ერთის წუთით იღვიძებს სიბრალულის გრძნობა. მაგრამ ანტიგონეს შეუვალობა, მისი სიმტკიცე აბრაზებს მას. იწყება ორი მტკიცე და უკომპრომისო ხასიათის შეჯახება. ამ კამათში კრეონტი ცდილობს არ დაჰკარგოს წონასწორობა, სულიერი სიმშვიდე, მაგრამ მის მღელვარებას ამხელს ქამრიანი ხელის ნერვიული მოძრაობა ზურგსუკან. უცებ იგი მიხვდება — თვით გაიბორკა ხელები იმავე ქამრით, წელან რომ ანტიგონე იყო შებოჭილი. ეს პარალელი მრავლისმთქმელია: — კრეონტი უნებურად ხვდება იმ ტრაგიკული კოლიზიის ბადეში, რასაც ანტიგონე თავისი ნებით ეგება. კრეონტი სწრაფად გაითავისუფლებს ხელებს, ახლა მას ეს ქამარი უჭირავს მძიმე ლახტივით, რომლითაც უნდა დაარგუნოს მოწინააღმდეგე. იგი გახელდა იმის გამო, რომ თავისი სისუსტე უჩვენა ანტიგონესა და ქოროს და რომ მოხვდა გამოუვალობის, გაწირულების წინასწარი გრძნობის გავლენაში. ანტიგონეს გასვლის შემდეგ კრეონტის ირგვლივ წრიულად განლაგდება ქორო. იწყება კრეონტის შეგონება, იგი მედგრად იცავს თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას. ამ კამათში ქორის წრე თანდათან პატარავდება და კრეონტის ირგვლივ იკვრება როგორც საბედისწერო, გამოუვალი რამ, რომელსაც იგი თავს ვეღარ დააღწევს. იგი შემოფოთებული, თითქოს წრესატანილი ტრიალებს ერთ ადგილზე. ასეთივე სიმბოლურ „საბიერ" წრეში ექცევა შემდეგ ანტიგონეც. მის ირგვლივ შეიარაღებული დარაჯების და შუბების წრეა. დარაჯებს ალისფერი, [illegible] მოსასხამები აცვიათ და თითქოს ხანძარში დგას ანტიგონე. მაგრამ იგი მძლავრად გადახრის შუბებს და თავის სათქმელს მაინც ეუბნება ქოროს და მაყურებელს.

ტრაგიკული კონფლიქტის განვითარების მანძილზე ჩვენ ვხედავთ ორ საპირისპირო ხაზს — რაც უფრო მაღლა ადის ანტიგონე, მით უფრო დაბლა ეშვება კრეონტი...

გამარჯვებით განებივრებულ, გონების ძალაში დარწმუნებულ კრეონტს ძალა ეცლება. აქამდე მშვიდი და მჯელიხის მოყვარული დესპოტი [illegible] ტირესიას რჩევებს. იგი ჰკარგავს ზომიერების გრძნობას, გამელებული [illegible] ... შემოეცლება მეფური სიდიადე და ზვიადობა, შემდეგ ადამიანური ღირსება, თანდათან ჰკარგავს ფორმას და იქცევა უფორმო შავ მასად, თითქოს მღვრიე ტალღებმა გამორიყესო შლამიან ნაპირზე.

მე მგონი, შეუძლებელია უკეთესი სახე მოიძებნოს გუნდის მღელვარე სტასიმში: „ფსკერიდან ამოდის შავი შლამი მზის სინათლეზე", — რომელიც, მართალია, სულ სხვა ეპიზოდშია, მაგრამ რეჟისორის მხატვრული აზროვნების იმპულსად ქცეულა სწორედ ამ სცენაში.

აჰა, ანტიგონე უკანასკნელად გამოჩნდება, რათა ცოცხალი წავიდეს პირქუში ჰადესის სახლში. მას თეთრი საზეიმო ტანსაცმელი აცვია, ვინაიდან სიკვდილი უმზადებს საქორწილო სარეცელს. იგი მაღლა დგას და მზის პირველი სხივი მას ეცემა, უცებ ღაწვზე ჩამოისვამს ხელს, თითქოს როგორც ნამი ეკვრისო (სოფოკლე მას ხომ ყვავილს ადარებს!). შემდეგ ხელზე [illegible] ჭიამაია, რომელსაც თრთოლვით შესცქერის არა მარტო ის, არამედ მთელი ქორო. ახლა დარბაზის ყურადღება ანტიგონეს ხელზეა მიპყრობილი, რომელიც შიშისა და სასოებისგან თრთის, ბოლოს მწერი გაფრინდება და თითქოს თან წაიღებსო ანტიგონეს სულს. ეს ძალიან რისკიანი დეტალია. როცა სიტყვაში გადადის, იგი შეიძლება მკითხველს გატკბილებულ-სენტიმენტალური მოეჩვენოს, მაგრამ, ისეთის ნიჭით გულუბრყვილობითა და სიწმინდით აკეთებს ამას მსახიობი, ისე დამუხტულია ამ დროს ქოროს ყურადღება, რომ არაბუნებრივობის ნატამალიც კი არსად იგრძნობა. აქ არის გამოვლენილი მთელი მისი ნაზი ბუნება, სიყვარულით სავსე სული, ჯანსაღი სხეული, რომელსაც შვილების გაჩენა სწყურია. ეტყობა, რეჟისორი იზიარებს ბერძნული ცივილიზაციის ცნობილი მკვლევარის ანდრე ბონარის კონცეპციას, რომლის მიხედვით, ანტიგონე არის სიყვარულის სახება, თვით სიყვარული, რომელიც აღიქვამს ახალ სამყაროს, თავისუფალს უსახო, არაადამიანური კანონებისაგან. ახლა ამ ნაზ, ლერწამივით სუსტ არსებაში იფეთქებს ყოვლის წამლეკავი მრისხანება, იგი ჭეშმარიტად ოიდიპოსის ქალიშვილია — იგივე ქარიშხალი სულში, იგივე ძალა და გაბედულება, ო, ბობოქარი, ამაყო სულო — მღერის ქორო. ეს სცენა [illegible] კვინტესენციაა მისი ძალისა და მომხიბვლელი სისუსტის, მისი დიდი სიყვარულის და სიძულვილის, მისი გმირული და ლირიკული სულისა.

ქართული ზარის ხმაზე (ქალის ხმა) ანტიგონე ქარიშხალივით გაიჭრება სცენიდან... მოულოდნელად შეწყდება მოთქმა, უკვე კიბის თავთან მიმჯრილი ანტიგონე ასევე მოულოდნელად შეჩერდება. თითქოს ყველაფერი მარადიულმა დუმილმა და უძრაობამ შეიპყრო... შემდეგ ნელა შემოტრიალდება, რომ ერთხელ კიდევ შეავლოს თვალი სამყაროს, წამოვა დარბაზისაკენ, რათა თავისი აღვსებული გულის ნაპერწკლები ახლოს მოიტანოს ჩვენს გულებთან. ამ საბედისწერო წამს, როცა გმირი უეჭველად უნდა მოკვდეს, ჩვენ გვეუფლება სიხარული, რაღაც გაურკვეველი გრძნობა აღტაცებისა.

ნოდარ გურაბანიძე

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

„თამაში" აკრძალული იდეებით

ჩვენს პატივცემულ რეცენზენტს გ. კარბელაშვილს ვერასგზით ვერ დავუმალავთ მეტისმეტ აჩქარებას. იგი ზოგიერთი სულსწრაფი რეცენზენტივით არ მოქცეულა, წიგნის დაბეჭდვამდე ანდა ბაზარზე გამოტანამდე რეცენზია უკვე გამზადებული რომ აქვს. ჩვენი რეცენზენტი მეტისმეტად დინჯად, აუჩქარებლად მოქმედებდა: ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამოწმებდა, აჯერებდა, აღრმავებდა, ხვეწდა და ანატოფებდა თავის აზრებსა და შეხედულებებს და ხუთი წლის თავზე შემოგვთავაზა თავისი შენიშვნები (სარეცენზიო წიგნი 1960 წელს დაიბეჭდა).

წინასწარ უნდა შევნიშნო, როგორც ჩანს, კარბელაშვილმა ამჯერად თავისი რეცენზიის მხოლოდ ერთი ნაწილი გამოგვცა. მის ვრცელ წერილში უპირატესად ლაპარაკია ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე, რაც, როგორც ეტყობა, ჩვენი რეცენზენტისათვის ერთობ მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხია. ამიტომ რეცენზია ცოტა ცალმხრივ შთაბეჭდილებას ახდენს: თარგმანის შესახებ დაწერილ კრიტიკულ წერილში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება თარგმანი დედანს, რამდენად ადეკვატურია იგი ორიგინალის მიმართ, შორდება თუ არა თარგმანის ტექსტი ან აზრობრივად ან მხატვრულ-სტილისტურად რემარკის რომანის ტექსტს. რაც ყველაზე გასაოცარია, რეცენზენტი არც ერთხელ არ იმოწმებს დედანს, არ უთითებს რემარკის ტექსტს, როგორც გამოსავალ წყაროს. თარგმანზე დაწერილ რეცენზიაში მთლიანად უგულებელყოფილია დედნის ტექსტი! (ერთად-ერთი გამონაკლისია სიტყვა „klar", რომელიც რეცენზენტს 1961 წლის ჟურნალ „ცისკრის" პირველ ნომერში გამოქვეყნებული მ. მამულაშვილის რეცენზიიდან აქვს) საერთოდ, არსად არ ჩანს რემარკის ამ ნაწარმოების რომელი გამოცემა ჰქონდა ხელთ ჩვენს პატივცემულ რეცენზენტს (ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან დასავლეთ გერმანიაში ამ რომანის შემოკლებული რედაქცია გამოქვეყნდა). ერთი სიტყვით, ჩვენ, სამწუხაროდ, ვერსად ვერ დავადასტურეთ რეცენზენტის დედანთან „კონტაქტის" თუნდაც ნატამალი. ამის გარდა, არსად მთელს რეცენზიაში სარეცენზიო წიგნი — „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა" სრულად დასახელებული არ არის, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. საქმეში ჩაუხედავი მკითხველი ვერ გაიგებს, სად, როდის, ვის მიერ გამოიცა წიგნი, რომელზედაც ეს სტატია დაიწერა. რეცენზიაში ფაქტიურად დასმულია არა თარგმანის საკითხი ფართო ასპექტში, არამედ ქართული ენის ნორმების შელახვა-შეულახველობის პრობლემა. რეცენზენტი ალბათ მომავალში განიხილავს თარგმნის თეორიის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს და ამ პრინციპების დაცვის საკითხს სარეცენზიო წიგნში, დედნის ემოციურ-მხატვრულ სპეციფიკას, ორიგინალის სულს და ამ სპეციფიკის თარგმანში შენარჩუნება-შეუნარჩუნებლობის პრობლემას. დედნის რიტმის, ემოციური ინტონაციის, თხრობის ტემპის, გერმანული იდიომების ქართულად გადმოტანის გზებისა და სხვ. საკითხებს.

რეცენზია სხვამხრივაც ერთობ ორიგინალურია: ჩვეულებრივ, რომელიმე თარგმანზე დაწერილ რეცენზიაში რედაქტორის უგულებელყოფენ და საერთოდ მას არც კი ახსენებენ ხოლმე. გ. კარბელაშვილმა დაარღვია ეს უსამართლო ტრადიცია და ვრცელ სტატიაში მთარგმნელებზე არანაკლები ადგილი და ყურადღება რედაქტორს დაუთმო. რედაქტორს მადლობის მეტი რა ეთქმის, ოღონდ მთლად კარგად ვერ აუხსნია, რით დაიმსახურა რეცენზენტის ესოდენ დიდი ყურადღება.

არცოდნა არცოდვაა, ამბობენ, მაგრამ ხანიხან ისიც უთქვამთ, არცოდნა არგუმენტად არ გამოდგებაო.

დავიწყოთ, ჩემი აზრით, ყველაზე პრინციპული შენიშვნებიდან. „ცნობილია, რომ ყველა სალიტერატურო ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია უხამსობათა სრული უკუგდება, მით უმეტეს ისეთი ენისა, როგორიც არის გერმანული, რომელსაც სამეტყველო ენაშიც კი არ გააჩნია საგინებელი სიტყვები" (იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1965, 13 აგვისტო, გ. კარბელაშვილი, „ნაბიჯები წყვდიადში"). ვერ დავეთანხმებით პატივცემულ რეცენზენტს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მწერლები თავიანთ პერსონაჟებს ამეტყველებენ ზოგჯერ ჟარგონით (ე. წ. არგოტული გამოთქმები), ხან კი სკაბრეზულ-ბურლესკური ანუ ვულგარულ-უხეში სიტყვებით. ჩვენ გვჯერა, რომ რეცენზენტის აღშფოთება და გულისწყრომა გულწრფელია და უმთავრესად ქართული ენის სიყვარულითაა ნაკარნახევი, მაგრამ სიყვარული ზოგჯერ ბრმაა და ობიექტურ ვითარებას ანგარიშს ვერ უწევს.

სკაბრეზული, ბურლესკული, ვულგარული, არგოტული და ა. შ. სიტყვები და გამოთქმები ლიტერატურაში უკვე დიდიხანია შეიჭრა და მათ ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ხვედრითი წონა ჰქონიათ. რენესანსის ხანაში, როდესაც ადამიანი თავისუფლდება შუასაუკუნეობრივი შეზღუდვებისაგან, მათ შორის, სხეულებრივ — ხორციელი აკრძალვებისაგან, ხდება სხეულის ემანსიპაცია და ა. შ., ლიტერატურაში იჭრება „თავისუფალი", „უცენზურო", უწმაწური სიტუაციები და გამოთქმა-სიტყვებიც (ბოკაჩო, პოჯო ბრაჩოლინი, რაბლე, ერაზმ როტერდამელი, იოჰან ფიშარტი, შექსპირი და სხვ.). ეს იყო შუა საუკუნეების ასკეტიზმისა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგო რეაქცია. მაღალფარდოვანი მეტყველების ასეთი „დამდაბლება" და „გამიწიერება" სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიზანს ისახავდა. ზოგჯერ ეს სატირიკული ხერხია, ე. წ. ბურლესკი, უხეში კომიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დანიშნულება წმიდად და ამაღლებულად მიჩნეული რომელიმე საგნის დამდაბლება-დამცირებაა ანდა ზოგჯერ ეს შუასაუკუნეობრივი მორალური არტახებისაგან განთავისუფლებული ადამიანის სხეულის ტრიუმფის გამოხატულებაა. ახალ დროშიც არ არის უგულებელყოფილი ბურლესკული და სკაბრეზული პასაჟები. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, შეიძლება გოეთე გავიხსენოთ. მისი „ფაუსტი", განსაკუთრებით ტრაგედიის პირველი ნაწილის „ვალპურგის ღამე" აღსავსეა ნატურალისტური სცენებით, ტლანქი ჰუმორით, ბურლესკული სიტუაციებითა და... უწმაწური გამოთქმებითაც. მოვიგონოთ მოხუცი ქაჯობა და მეფისტოფელის ცნობილი გასაუბრება, რომელიც ქართულ თარგმანში შერბილებული და „შელამაზებულია". ხოლო „გოც ფონ ბერლიხინგენის" 1771 წლის პირველ რედაქციაში გოეთე თვითონ გოცს შემდეგ „მაგარ" სიტყვებს ათქმევინებს: „Er aber, sag's ihm, er kann mich in Arsch lecken" (Goethes sämtliche Werke, Iubiläums — Ausgabe in 40 Bänden, Stuttgart und Berlin, 10. Bd, S. 201—202)

გერმანული ენის მცოდნე მკითხველი მიხვდება, რომ ჯორჯანელების მიერ გამოყენებული ვულგარულ-უხეში გამოთქმები გოეთეს გოცის სიტყვებთან შედარებით უწყინარი ბავშვის ტიტინსა ჰგავს.

განსაკუთრებით გაძლიერდა სკაბრეზულ-ბურლესკული ელემენტის როლი XX საუკუნის დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში (ნატურალიზმი, მოდერნიზმი, კრიტიკული რეალიზმის ერთი ნაკადი და სხვ.), როდესაც ბურჟუაზიულმა ადამიანმა თავი „გაითავისუფლა" ძველი რელიგიური, მორალური და სხვა „შეზღუდვებისაგან", ადამიანის ბიოლოგიური არსება გააშიშვლა და სააშკარაოზე გამოიტანა მისი როგორც ბიოლოგიური არსების ფიზიოლოგიური პროცესები, აგრეთვე მათი გამომხატველი გამოთქმებიც (ჯოისი, რობერტ მუზილი, ჰერმან ბროხი, დობლინი, ჰანს ფალადა, კოპენი, რემარკი და სხვები). ეს თავისებური გამოხატულებაა ბურჟუაზიულ ევროპაში გამეფებული სულიერ-კულტურული კრიზისისა, ძველ სულიერ ღირებულებათა ინფლაციისა, იმისა, რომ აგრე წმიდად და პატივსაცემად მიჩნეულ ფასეულობათ ადრინდელი მნიშვნელობა და შარავანდი დაეკარგათ. რემარკის შემთხვევაში ამ სკაბრეზულ სიტუაციებსა და გამოთქმებს შემდეგი საფუძველი აქვს: უდიდესი მატერიალური გაჭირვების ჟამს (ომის დროს) უბრალო ადამიანების მიერ ერთადერთ რეალურ ღირებულებად ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა მიჩნეული. ამიტომ, მათივე აზრით, რატომ არ უნდა უწოდონ საკუთარი სახელი ყველაფერს, რატომ დამალონ, შენიღბონ, მიჩქმალონ ადამიანისათვის არსებითი მოთხოვნილებანი?! და რემარკის გაჭირვებული პერსონაჟები გულახდილად, დაუფიქრებლად ლაპარაკობენ ისეთ საგნებსა და მოვლენებზე, რომელთა შესახებ ნორმალურ პირობებში ალბათ არ ილაპარაკებდნენ.

რაც შეეხება იმ კონკრეტულ მაგალითებს, რომელთა არსებობა დედანში რეცენზენტს ეჭვება, ჩვენ მათ უთარგმნელად მოვიტანთ:

„Vor einem Jahr pisste ich noch in grossen Bogen..." (გვ. 7).
„Jetzt pisse ich wie ein Zivilist"
„Es wäre mir egal, wie ich pisste" (გვ. 7).

უფრო მეტს მოგახსენებთ. უწმაწურ გამოთქმებსა და ბილწსიტყვაობას არ ერიდება სოციალისტური რეალისტი, თანამედროვეობის უდიდესი დრამატურგი ბერტოლტ ბრეხტი. იგი კლასობრივ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანს შეუბრალებლად ამხელს მკითხველის წინაშე და არც მის ვულგარულ-უწმაწურ მეტყველებას ერიდება. (იხ. ბრეხტის ყველა ნაწარმოები, თუნდაც, ქართველი მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი „სამგროშიანი ოპერა", რომელშიაც გამოყენებული „უცენზურო" გამოთქმები მრავალსართულიანი, „დახვეწილი" გინებით თვით გამობრძმედილ „სპეციალისტსაც" კი შეაკრთობდა. აქვე უნდა შევნიშნო: ჯორჯანელებმა, რომელთაც ეკუთვნით ამ პიესის თარგმანიც, საგრძნობლად შეარბილეს და შეასუსტეს ბრეხტის პერსონაჟთა ბილწსიტყვაობა).

გადაშალეთ ალფრედ დობლინის რომანი „ბერლინი-ალექსანდერპლაცი" (რომელიც ორი წლის წინათ რუსულადაც ითარგმნა), ვოლფგანგ კოპენის „სიკვდილი რომში" ანდა ჰანს ფალადას „ვინც კი ერთხელ იგემებს პატიმრის ულუფას..." და უამრავი სხვა თანამედროვე რომანი, ყველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით უწმაწურ, ბილწ გამოთქმებსა და გინებას. რემარკი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. ყოველივე ამას გარკვეული ესთეტიკური და ამავე დროს აზრობრივი ფუნქცია აკისრია. ესთეტიკის კურსებში სკაბრეზულ და ბურლესკულ სიტყვებსა და გამოთქმებს სპეციალური პარაგრაფები ეძღვნება... ვიმეორებ, ეს უწმაწურობისაკენ მწერალთა ინფანტილური მიდრეკილება კი არ არის, არამედ სტილისტური ხერხი, რომელიც გარკვეულ შინაარსობლივ მიზანს ემსახურება. ჯორჯანელები შეძლებისდაგვარად არბილებენ, ასუსტებენ და ზოგჯერ სულაც არ თარგმნიან რემარკის პერსონაჟთა ბილწსიტყვაობას.

აქაც რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით:

„...den Arsch für immer zuzukneifen" (გვ. 128).

ჯორჯანელები თარგმნიან: „სამუდამოდ გაგჭიმო ფეხები!" (გვ. 157).

„Zu viel Scheissakten und Scheissbüros und Scheissbehörden.." (გვ. 87).

ჯორჯანელების თარგმანში ვკითხულობთ: „ნაკელივით ბევრია ოფიციალური ქაღალდები, ბიუროები, ხელისუფლების ორგანოები"... (გვ. 112) და სხვ.

კარბელაშვილმა ან უნდა დაამტკიცოს, რომ რემარკის ტექსტში ასეთი გამოთქმები არ არის და ჯორჯანელები თვითნებურად თხზავენ ანდა რემარკის რომანში უწმაწურ მეტყველებას, მართალია, ვხვდებით, მაგრამ მისი ქართულად თარგმნა მიზანშეუწონელია. ან ერთი, ან მეორე. თორემ რეცენზიის მკითხველი ვერ გაერკვევა, ჯორჯანელები თხზავენ ამ ბილწ გამოთქმებს, თუ მთარგმნელებს ისინი ქართულ ენაზე ადეკვატურად გადმოაქვთ. სხვათაშორის, მ. მამულაშვილი პირიქით უსაყვედურებს ჯორჯანელებს, ზოგან არგოტულ გამოთქმებს ლიტერატურულით რატომ ცვლით, ამით რომანს კოლორიტი ეკარგებაო (იხ. „ცისკარი", 1961, № 1, გვ. 115). ჩვენ გვგონია, რომ ზოგიერთის სმენას ეხამუშება ტლანქი და ვულგარული მეტყველება, ამიტომ ბევრი რამ შევარბილეთ, „გავადელიკატურეთ" რემარკის პერსონაჟთა ენაში, მაგრამ მათი მეტყველების მთლიანი „დასტერილება" მაინც ვერ მოვახერხეთ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი პატივცემული რეცენზენტი ერთმანეთში ურევს საგინებელ სიტყვებსა და ჟარგონს. მას უხამსობად და უწმაწურობად მიაჩნია შემდეგი სიტყვებიც და გამოთქმებიც: „დაკეტე!", „წყალი არ გაუვა", „ნედლები", „ეტყობა ჩააფლეს", და ა. შ. პირდაპირ საოცარია, რეცენზენტს რატომ აგდებს შეურაცხყოფად გამოთქმა — „წყალი არ გაუვა"? ზნეობრივად უაღრესად ფაქიზი ადამიანებიც კი მშვიდად იტანენ ამ არც თუ ძალიან ტლანქ გამოთქმას.

მხატვრულ ლიტერატურაში ვერ ხერხდება „უხამსობათა სრული უკუგდება". რუსი მთარგმნელებიც იძულებულნი არიან ხოლმე ადეკვატურად თარგმნონ დედანი. 1965 წლის „ინოსტრანნაია ლიტერატურა"-ს მეხუთე ნომერში დაბეჭდილი პროგრესული ამერიკელი ზანგი მწერლის ჯონ ოლივერ კილენზის რომანის — „და მაშინ ჩვენ გავიგონეთ ქუხილი" — გაგრძელებაში 149-ე გვერდზე ერთ-ერთი ჯარისკაცი ამბობს:

„Поцелуйте меня в зад!"
(გ. კარბელაშვილს ბოდიშს ვუხდით).

გერმანულ სამეტყველო ენაში საგინებელი სიტყვები არ არისო, ამბობს პატივცემული რეცენზენტი. ნეტარ არიან მორწმუნენი! გერმანულ სამეტყველო ენაში შეხვდებით ისეთ შემზარავ გინებას, რომლის მოსმენაც ალბათ მარტო ჩვენს რეცენზენტს როდი გააჭირდება, რომელსაც „წყალი არ გაუვა"-ს მსგავსი გამოთქმებიც კი აწყენს. გადაშალეთ ბრეხტის, დობლინის, ფალადას, თუნდაც ბრედელის ნაწარმოებები, რომელთა პერსონაჟები სწორედ გერმანული სამეტყველო ენიდან აღებული სიტყვებით იგინებიან და თქვენ დარწმუნდებით, რომ მათთან შედარებით ჯორჯანელების მიერ რემარკის ქართულად ამეტყველებული პერსონაჟები მონაზვნებივით „ღუღუნებენ". ჩვენი რეცენზენტი აღშფოთებულია: „წიგნში ისეთ გამოთქმებს შეხვდები, რომელთაც მარტოოდენ ქუჩებსა და მოედნებზე დაყუდებული უქნარებისაგან თუ გაიგონებთ." კი მაგრამ, აბა, გერმანულ ჟარგონსა და არგოტულ თქმებს მთარგმნელები სახარების ენით ხომ ვერ გადმოიღებდნენ!

რეცენზენტს თავის სტატიაში ჩემი წინასიტყვაობიდან ერთი ამონაწერი მოაქვს და მეტისმეტად მკაცრ ბრალდებებს მიყენებს. ეს ციტატა მთლიანად ეხება რემარკის პირველ რომანს, „დასავლეთის ფრონტი უცვლელია", რომელშიც პირველი მსოფლიო ომის ამბებია ასახული. ეს იყო მთლიანად იმპერიალისტური ომი; მასში მონაწილე ყველა სახელმწიფო იმპერიალისტურ მიზნებს ისახავდა, აქ არცერთი სახელმწიფო სამართლიან და თავდაცვით ომს არ აწარმოებდა. ამ ომში არცერთი ქვეყნის ჯარისკაცი სამშობლოსათვის არ იბრძოდა. ამ ომში ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცად იყვნენ გამოყენებულნი. რეცენზენტი ვრცელი ტირადით ცდილობს „[illegible]" [illegible]: „განა დღეს, იმპერიალიზმის ეპოქაში შეიძლება ასეთი ლაპარაკი საერთოდ ომების შესახებ? განა ასე იოლად შეიძლება რემარკისადმი ესოდენ დიდი ბრალდების წაყენება, განა რემარკმა შეიძლება გააბიაბრუოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მისადმი თავდადება? განა რემარკმა შეიძლება შეურაცხყოს მილიონობით ადამიანის ხსოვნა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ნათელი სიყვარულის გამო გაუწირავთ თავი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში?" და ა. შ. კი მაგრამ ვინ ამბობს, რომ რემარკი სამშობლოს სიყვარულის გრძნობას აბიაბრუებს?! რეცენზენტის მიერ მოტანილ ციტატაში სიტყვა „სამშობლო" ბრჭყალებში მაქვს ჩასმული, ე. ი. პირველ მსოფლიო ომში ჯარისკაცები სამშობლოს კი არ იცავდნენ, არამედ ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ იმპერიალისტების ხელში, რომლებმაც გეოპოლიტიკური ინტერესების გამო წამოიწყეს ომი. საკვირველი ის იყო, და რემარკი ამას ამხელს, რომ თავდაპირველად მოტყუებულ ჯარისკაცებს ეგონათ, სამშობლოს ვიცავთო, მაგრამ თანდათანობით თვალი აეხილათ. რემარკის პირველ რომანში სწორედ ჯარისკაცების გამოფხიზლების პროცესია ნაჩვენები.

სამწუხარო ის არის, რომ რეცენზენტი, რბილად, სპორტული ენით რომ ვთქვათ, „აკრძალულ ილეთს" იყენებს, რის გამოც მოთამაშეს თამაშის უფლებას ართმევენ ხოლმე: ჩემს მსჯელობას, რომელიც თავიდან ბოლომდე პირველ მსოფლიო ომს ეხება, შეუმჩნევლად, (რეცენზენტი ცდილობს ეს მოხერხებულად მოამოქმედოს) ავრცელებს მეორე მსოფლიო ომზე, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა პირველი ომისაგან. მეორე მსოფლიო ომში, რომელიც ჩვენთვის სამამულო, თავდაცვით ომად იქცა, ჩვენი ჯარისკაცები, რასაკვირველია, სამშობლოსათვის იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ კიდეც. კი მაგრამ, რა მაქვს ამის საწინააღმდეგო ნათქვამი?!

რეცენზენტი წერს: „ცნობილია, რომ რემარკი პაციფისტია; მაგრამ ისიც უდავოა, რომ კაცობრიობის ისტორიაში იყო და არის სამართლიანი და უსამართლო ომები". სამწუხაროა, რომ აქ კარბელაშვილი ვერ იცავს ლოგიკის ელემენტარულ წესს. სავსებით ულოგიკოა ერთი დებულებიდან მეორე დებულებაზე გადასვლა: ის, თუ არის ცნობილი, რომ რემარკი პაციფისტია, ისიც უნდა იყოს ცნობილი, რომ პაციფისტი უარყოფს ყოველგვარ ომებს, ის არ არჩევს ერთმანეთისაგან სამართლიან და უსამართლო ომს, მისთვის ყოველგვარი სისხლისღვრა მიუღებელია. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. პაციფისტი თუ განასხვავებს ერთმანეთისაგან სამართლიან და უსამართლო, დამპყრობლურ და თავდაცვით ომებს, მაშინ რა გვაქვს საქმე პაციფისტთან?!

გ. კარბელაშვილი წერს: „კაკაბაძე ურევს ცივილიზაციის მნიშვნელობას, ლაპარაკობს ევროპის, ე. ი. საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და სხვ. ქვეყნების „კულტურის კრიზისზე" XX საუკუნეში, ე. ი. მიდის ისეთ დასკვნამდე, რასაც არც რემარკთან აქვს რაიმე საერთო და არც მარქსისტულ შეხედულებებთან". ჯერ ერთი, გაუგებარია, რისი თქმა სურს რეცენზენტს: კაკაბაძე ურევს ცივილიზაციის მნიშვნელობას? რაში ურევს? ქართული ენის ისეთ მცოდნეს, რო-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

---

* რემარკის რომანის („ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა") ქართული თარგმანის შესახებ „ლიტერატურულ საქართველოში" გ. კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიის გამო.

პოეზიის არწივი

ალექსანდრე გომიაშვილი

ნახევარი საუკუნის წინათ, თბილისის წმინდა ნინოს ლაზარეთის კედლებში დაკეცა თავისი ლაღი ფრთები ქართული პოეზიის არწივმა. 1915 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა. ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა თავზარდამცემი ამბავი. ახლანდელი უნივერსიტეტის ფართო დარბაზში, სადაც გადაჭიმულ სარეცელზე ესვენა პოეტის ცხედარი, შეიკრიბნენ ვაჟას თაყვანისმცემლები. სამწუხარო ამბის მაცნედ აფრინეს კაცი მთაში. ლაშარის გორზე აენთო ვარსკვლავებისა სანთლებისა და ფშაველებმა გაშლილ ნაბადზე დაიტირეს შინმოუსვლელი ლუკა რაზიკაშვილი. დიდუბის მიწამ მიიბარა ძვირფასი ნეშტი და მალე მის საფლავზეც ბალახი ამოვიდა.

54 წელი იცოცხლა ვაჟამ, მაგრამ იცოცხლა ვაჟკაცურად. რუსეთის ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტის სტუდენტმა, ფილოსოფიისა და ლიტერატურის მსოფლიო შედევრებში განსწავლულმა ვაჟამ უარი თქვა ქალაქურ ცხოვრებაზე. ადრე სიჭაბუკეშივე მშობლიურ ჩარგალს მიაშურა და მთელი თავისი წუთისოფელი მამა-პაპის ძველ სახლში გაატარა. იგი იყო უბადლო მონადირე და მარგალიტების მთესველი გუთნის დედა! ფშაველთა შორის პირველი მამულარი სატევარს ენითა ლოკავდა და კოშკის ბაქში გოგოთურივით საძლეო ქვას ეჭიდებოდა... ახალი გუთნით კლდის მიწას ხნავდა, ყანას მკიდა, სათიბს სცელავდა და დღიური შრომით დაქანცული ღამ-ღამობით კერის შუქზე იჯდა და უკვდავი პოემის სტრიქონები გამოჰყავდა:

დღემ დაიბურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
აღარ შფოთობენ ხევებში
გმირთ ოფლის მღვრიე ღვარები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვენ შეხაზარება.
გული ვერ მოუფხანიათ.
ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი განწირეს ცვრიანი
გაივსო რძითა მთათ ძუძუ;
დაუშრობელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მოჩქეფს ხალასი გვიანი,
ჩემსაც სამარეს ამკობენ
თქვენი დიკა და ღვიანი!

კითხულობ „ბახტრიონის" ფრთიან სტრიქონებს და გრძნობ, თუ თანდათან როგორ გადადიხარ შემოქმედის ხელთქმნილ სამყაროში. თანდათან მაღლა მიიწევენ „მთები თავჩაჩქნიანები" და ხოშარის გორზე ცრემლსა ღვრის სანათა.

**ის ცრემლი იყო ხალხისა...
უხვად მიწის გულს ცვიოდა.
დედამიწისა გულ-მკერდზე
ყვავილი ამოდიოდა.**

როგორც ერთიმეორეზე მიკრული თუშ-ფშავ-ხევსურეთის მთები, პოემა „ბახტრიონის" ყველა თავიც პოეზიის უბადლო მწვერვალია. მაგრამ ამ მწვერვალებს შორის განსაკუთრებით ჩემს თვალს იტაცებს პოემის შესავალი, კვირიას სიზმარი და გველის გრძნეულებით განკურნება ბერი ლუხუმისა.

ერთი ხევსურის თქმისა არ იყოს: — ბერი ლუხუმი საქართველოა და საქართველოს უკვდავი მომავლისათვის [illegible]

**ეღირსებათ ლუხუმსა
ლაშარის გორზე შედგომა!**

ვაჟა-ფშაველას დიდი ტალანტი პირველად ილიამ შეიცნო. „ბახტრიონის" გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე პოემა „მოხუცის ნათქვამიც" დაებეჭდა და კალამიც დაულოცა.

— არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავდოთ, გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ! — უთქვამს ილიას. ქებით ფრთაშესხმულმა ვაჟამ სწორუპოვარი წინაპრის, ილიას წინასწარმეტყველება გაამართლა. რედაქციებს წვიმასავით დაუყარა ლექსები, პოემები, მოთხრობები და ეთნოგრაფიული წერილები. ვაჟა-ფშაველას ასეთმა შემოქმედებითმა სიუხვემ თავგზა აუბნია რედაქციების მაშინდელ მესვეურებს და ხალხში ლეგენდა წავიდა, თითქოს ვაჟას ჩარგლიდან თბილისში ლექსები ხურჯინით ჩამოჰქონდა. ახლა ეს ლეგენდა ცოცხლობს და ხალხის მეხსიერებაში

ამ ლეგენდის ფესვებს აღრმავებს ვაჟა-ფშაველას ნაწერების ახლანდელი ათტომეული გამოცემაც, რაც ნამდვილად დიდი შემოქმედის უძირო ზღვაა.

როგორც აღვნიშნე, ვაჟას პირველი პოემა ილიას „ივერიამ" გამოაქვეყნა და ამას მოჰყვა „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი", და მრავალი სხვა მარგალიტი. ლირიკული პოეზიის შედევრებთან ერთად ვაჟამ 42 პოემა დაგვიტოვა და ამით ქართული პოეზიის ჭერი რუსთაველივით მაღლა ასწია, არწივის მძლავრი ფრთებით ამ ჭერის განივები გაზომა და ჩარგლის მიწიდან მსოფლიოს გადახედა... გადახედა და ხალხთა მრავალ ენაზე გაისმა მისი ხმა:

**მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას — ვარსკვლავების ჭარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია.
მდიდარი სიმდიდრით ლიღინი,
ბეჩავი ქვითინი მწარია,
ავდარი, ქინქლი, ცის ქუხვა,
ცა მოწმენდილი დარია.
დილით გაფურჩქვნა ვარდისა,
მთელი ამისი გვარია;
ია, უღრან ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია.
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, —
მთის სახაბელო ქალია.
მარგალიტივით მდელოზე
ბრჭყვიალა დილის ცვარია...
ზამთრის ზვავების ქუხილი
გაზაფხულზე წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტს კარია.
.... ხარს ყვავარ ნაიალაღარს
რქით მიწასა ჩხვერს, ებუბუნებს.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვღუღუნებ.
... ხანდახან ეგის ამიღებს
სიმღერას დავაგუგუნებ.**

ამრიგად, ვაჟას სულში შეერთდა გარდასულ თაობათა მრავალი საუკუნის ტკივილები და მისმა გენიამ შეიცნო ბუნების ენის ყველა საიდუმლო. ვაჟამ მინდიაზე ადრე შეჭამა სიბრძნის ხორცი, შეიგრძნო ბუნების ენა და ამრიგად, ვაჟას ტკივილებიდან დაიბადა მინდია. ვაჟას სულში დიხანს დუღდა „ბუნების ენა რამ საიდუმლო", უსულო საგნებს სული ჩაუდგა და, ბოლოს ხალხურმა სიბრძნემ „გველის მჭამელში" შეისხა ხორცი...

ქაჯები გვხვდებიან ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც". ნესტან-დარეჯანივით ქაჯებს ტყვედ ჰყავთ მინდია. ტყვეობაში იტანჯება ხახმატელი ხევსური და ერთ დღეს, თავის მოკვლის მიზნით გველის ხორცს შეჭამს...

**აილო ერთი ნაჭერი,
ზიზღით ჭურღულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალის თვალით
ტყეს გადმოხედა ზეცამა:
ახალად სული ჩაიდგა,
ახალი ხორცი აესხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუს გაეხსნა.**

. . . .

**შეიგრძნო სიბრძნე ქაჯების
ამირიდან ტყვემო,
მას [illegible] დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაც.**

ამიერიდან მინდია ცხოვრების ახალ სამყაროში გადადის და ბუნების საიდუმლო ენით ესაუბრება ვარსკვლავებსა და ყვავილებს, ფრინველებსა და ცხოველებს, მთებსა და ხევებს... მას, მხოლოდ მას ესმის ბუნების ენა და ბუნების ენის ამ ცოდნით დაჯილდოებული მინდია უძლეველია — როგორც მებრძოლი და როგორც მკურნალი.

ვაჟა-ფშაველას თანამედროვე იყო ცნობილი ხევსური დოსტაქარი მგელიკა ლიქოკელი. 1930 წლის ზაფხულში ასი წლის მოხუცი პირადად გნახე საოპერაციო ხევსურულ მაგიდასთან. ხევსურები მარწმუნებდნენ, რომ ჩვენმა მგელიკამ 400-ზე მეტი ოპერაცია გააკეთა და აქედან ყველა წარმატებით დასრულდაო. არ ვიცი, ეს გადმოცემა რამდენად მართალია. მაგრამ ერთი — კი ცხადია: მგელიკა ლიქოკელის სახელი მთაში შორს იყო გავარდნილი და ხევსურეთის ყველა კუთხიდან დაჭრილები სამკურნალოდ მისკენ მოემართებოდნენ.

უბირო მკურნალს, ბოლოს ღრმა სიბერეში თვალმაც უმტყუნა და ხელმაც. ასი წლის მოხუცმა თავისი შეცდომა ვერ აიტანა და მინდიასავით თავი მოიკლა. ახლა, როცა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის" სტრიქონებს ვკითხულობ, რატომღაც მაგონდება მგელიკა ლიქოკელი და ვფიქრობ: მინდია მეტად ხალხური პერსონაჟია. ის არის საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ხალხური სიბრძნის, ხალხური გენიის ერთ ადამიანში გაერთება და ამ გენიის გაერთების სინთეზი — მინდიაა. მინდია თვითონ ვაჟაა. და ვაჟა ხომ ხალხის გენიის ყველაზე მაღალი განსახიერება იყო. ამ დებულების დასადასტურებლად — აი, კიდევ ერთი სტროფი „გველის მჭამელიდან":

**როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა:
სილაღე, სიმხიარულე
დახეტიალობენ ყველგან,
გაჩნდება ჩიტი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მდელსა
ის ეძებება ხალხოთა,
ბუჩქებიც „ვაჟას" უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა,
ყვავილნი ულვაშადგმებით,
დახატულნი კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო",
ერთხმად ახტებენ ყიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუჩქები იწყებს ბიბინსა,
და მერე სათითაოდ
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარი ამის წამალი",
სხვა გაიძახის — „ამისა".
მინდიაც მოისწყვეტს, თან მიაქვს,
ჭერ ზედ ნაში აქვს დღლისა.**

ბერი ლუხუმი და მინდია ტყუპისძმებივით ხალხის წიაღიდან ამოიზარდნენ. ხალხური გადმოცემით ლუხუმის ბედიც გველის გრძნეულებასთან არის დაკავშირებული. თქმულება იმის შესახებ, რომ ლუხუმს ჭრილობა გველმა განუკურნა, გამოთქმულია ხალხურ ლექსშიც. მაგრამ ხალხური ლექსის ლუხუმი და „ბახტრიონის" ლუხუმი ერთიმეორისგან სრულიად განსხვავდებიან. ლუხუმის თქმულებას ეხმაურება აგრეთვე თქმულება თორღვაზე. ხალხის გადმოცემით თორღვა განთქმული გმირი-ყოფილა. მას მტერი იშვიათად ამარცხებდა. 1930 წელს შატილის თემში ჩემი ყოფნის დროს ხევსურებმა სოფელ მუცოში, მაღალ კლდეზე აღმართული ციხე დამანახვეს, რომელსაც თორღვას ციხეს ეძახიან. ამ ლეგენდარული გმირის ფიზიკური ზომა — იმავე ხევსურების გადმოცემით, — აღნიშნული ყოფილა ციხის დიდ სიპზე, რომლის ნახვაც ციხესთან მიუვალობის გამო მეტად ძნელია.

თქმულება მოგვითხრობს, რომ სანადიროდ წასულ თორღვას მყინვარებში ფეხი დასხლტომია და ღრმა ნაპრალში ჩავარდნილა. იქ გველეშაპი წოლილა და იმას დასცემია თავზე. გველეშაპს შესცოდებია დამტვრეული მონადირე; ამოუღია „გველის თვალი"... იმ თვალით გაუთბია, გაულია და განკურნებულ თორღვასთვის მფრინავი ჯაჭვის პერანგიც უჩუქნია.

ლექსი ამბობს:

**თხლობით ამაიზარდა
თორღვა ძაგანის გვარით,
ამაეს ამაიყოლა
ნავთი და ნაკვერცხალით.
არაგვში ამაიჭვრეტა,
შორით ვინ უჭა თვალით?! —
მფრინავი ჯაჭვის პერანგში
ბეჭებს უხნავს ჯვარით:
მარჯვენას მზე წერებულიყო
მარცხენას — კი მთვარის ნალით.**

მიუხედავად იმისა, რომ ხალხური ლექსის ლუხუმსაც და თორღვასაც ჭრილობებიდან გველი კურნავს, ორივე თქმულების გმირები სრულიად განსხვავდებიან „ბახტრიონის" ლუხუმისაგან. ეს გასაგებიც არის. ეს არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მეთოდის თავისებურება.

ვაჟა ამბობს:

„ხალხური თქმულება, — რაც უნდა იგი მდიდარი და შინაარსიანი იყოს, აზრიანი და ხელოვნური, — თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, — არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება".

ვაჟა-ფშაველას ყველა ნაწარმოები და მათ შორის „ბახტრიონიც" და „გველის მჭამელიც" ამ მეთოდით არის შესრულებული. საოცარია პოეტის შინაგანი ხედვა:

**ველზე ბზინავენ უკვდავნი
თამარ დედოფლის თვალები,**

ანდა:

**იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო.
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავ მზესა, იანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო.
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.**

თავისი სიცოცხლის 54 წლის მანძილზე ვაჟა-ფშაველამ მრავალი [illegible] გაიტანა ქართულ პოეზიაში და ამქვეყნიდან ხელხვავიანი წავიდა.

ზედმიწევნით კარგად იცოდა ვაჟამ თავისი თავის ფასი. ეს მეტად ზუსტად გამოთქვა ლექსებში: „სიმღერა ახალგაზრდა მგოსნებს", „დავით გურამიშვილის ხსოვნას" და „დაგვიანებული პასუხი აკაკის". მაგრამ თავისი შემოქმედების საიდუმლოება ვაჟამ მაინც უკეთ გახსნა ილ. ყართოზიას „კრიტიკული ეტიუდის" პასუხში. ვფიქრობ, ილ. ყართოზიას წერილი რომ არ ყოფილიყო, არც ვაჟას პასუხი დაიწერებოდა. და უამისოდ კი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ვაჟას შემოქმედებიდან ბევრი რამ დღემდე ბურუსით მოცული დარჩებოდა. ამიტომ ილ. ყართოზიასადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის!

დიდია ვაჟა — ეპიკოსი და დიდია ვაჟა — ლირიკოსი. ვაჟას ეპიკურ ქმნილებებს მხარში უდგას ვაჟას ლირიკა. დაუვიწყარია იგივე უდაბურ ტყეში მძინარე მწყემსი ქალიც და მრისხანე ბაკური, დაუვიწყარია ია, ბნელ ხევში მოსული დიდი ჭინჭარი რომ ფარავდა და დაუვიწყარია ვაჟას „არწივი".

უსაზღვროა ვაჟას ღვაწლი. მან ღირსეულად მოიხადა თავისი ქვეყნის წინაშე შემოქმედის ვალი. და მაინც, სიკვდილის წინა დღეებში წუხდა, რომ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

იგი ამბობდა:

**რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბლის გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსავლებლად
ცვარად, ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ობლად და ტიალადა!
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა...
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვიყავი
სიკვდილის გამაწბილადა:
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა.**

ქვეყნიერების საკეთილდღეოდ ადამიანის უსაზღვრო სწრაფვა ახალ სიმაღლეზეა აყვანილი და თავისებურად, ვაჟა-ფშაველისებურად არის გადაწყვეტილი. ამ ლექსში ადამიანის სიკეთეს ერთვის ბუნების მადლი და ღრუბლივით გალაღებული ვაჟა ამბობს:

**თოვლად ქცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა.**

ჭეშმარიტად! პოეტის სიკვდილი ისევ სიცოცხლედ გადაიქცა. ვაჟა-ფშაველას პოეზიამ ღრუბელივით გადაუარა ქვეყნიერებას და ამისი ლექსის შხაპუნა წვიმამ ახალ-ახალი თაობების ყამირი სულ გაანედლა. რაც დრო გადის ვაჟას სახელი უფრო მეტად გაიზრდება და მშობელი ხალხის გულში სამუდამო ბინას დაიმკვიდრებს.

მიხეილ ლაკერბაი

აფხაზმა ხალხმა, მისმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ განიცადა უმძიმესი დანაკლისი — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი აფხაზი მწერალი, ეროვნული ინტელიგენციის უფროსი თაობის სახელოვანი წარმომადგენელი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ ალექსანდრეს ძე ლაკერბაი.

მიხეილ ლაკერბაიმ გაიარა ცხოვრებისა და შემოქმედების რთული, მრავალფეროვანი გზა. დიდი შრომისმოყვარეობა და ნათელი ნიჭი თითქოს მისი წყვილი ფრთა იყო, რამაც იგი აამაღლა ლიტერატურის ჰორიზონტზე და დამსახურებულად აზიარა ფართო პოპულარობას.

მიხეილ ალექსანდრეს ძე ლაკერბაი დაიბადა 1901 წლის 19 იანვარს, სოხუმის რაიონის სოფელ მერხეულში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, რის შემდეგაც სწავლობდა ჯერ სოხუმის მთიელთა სკოლაში, შემდეგ — რეალურ სასწავლებელში. 1921 წლიდან 1926 წლამდე მუშაობდა გაზეთ „აფსნი ყაფშის" რედაქტორის მოადგილედ. 24 წლის ჭაბუკი ქ. თბილისში ჩამოდის უმაღლესი განათლების მისაღებად. შედის უნივერსიტეტის იურიდიულ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1929 წელს. მ. ლაკერბაი ერთხანს მუშაობს თბილისის ადვოკატთა კოლეგიაში, ხოლო 1930 წელს გადადის მოსკოვში და მუშაობას იწყებს კინოფაბრიკა „ვოსტოკ-ფილმში". აქ მისი სცენარის მიხედვით გადაღებულ იქნა კინოფილმები „მზის ყვავილი" (1932 წ.) და „ქალი მწვანე ხეივანში" (1938 წ.).

მიხეილ ლაკერბაის კალამს ეკუთვნის ლიბრეტო ოპერებისა „განდეგილი" (დაიდგა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1939 წელს) და „მზია" (დაიდგა იმავე თეატრში 1940 წ.).

მგზნებარე პატრიოტი მწერალი მთელი არსებით თავისი ხალხის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული და ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი ფრონტზე იყო, მონაწილეობას იღებდა სევასტოპოლის დაცვაში და თანამშრომლობდა საფრონტო პრესაში.

მიხეილ ლაკერბაიმ ღრმა კვალი გაავლო მშობლიური მხატვრული კულტურის ისტორიაში, იგი არის აფხაზური დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი პიესები: „გუნდის შთამომავალი" (1940), „სამიდან უფსკრულში" (1941), „დამეი" (1956) აფხაზური დრამატურგიის ოქროს ფონდშია შესული.

წლების მანძილზე გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგი იყო მისი მონოგრაფია „ნარკვევები აფხაზური თეატრალური ხელოვნების ისტორიიდან".

მაგრამ მ. ლაკერბაის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ნოველებს. ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, რა აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა ლაკერბაის ნოველების წიგნს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა გერონტი ქიქოძემ. თავისთავად ბევრს მეტყველებს ის ფაქტი, რომ ლაკერბაის ნოველები მსოფლიოს ხალხთა 27 ენაზეა თარგმნილი.

თვრამეტიოდე წლის ჭაბუკი იყო ლაკერბაი, როცა პირველი ლექსები გამოაქვეყნა. ნაყოფიერი, მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში შეიტანა თავისი წვლილი და ფასდაუდებელი ამაგი დასდო მშობლიური ხალხის კულტურას.

დღეს, როცა უკანასკნელად ვეთხოვებით ჩვენს დაუვიწყარ მეგობარს და სახელოვან თანამოკალმეს, მწერლის ახალი პიესის — „მისი საუკეთესო როლი" — რეპეტიციას გადიან სოხუმის სახელმწიფო-დრამატულ თეატრში.

ასე მიდის იგი ჩვენგან — სამშობლოს პატრიოტი, სიყვარულით მოსილი შემოქმედი და ადამიანი, რომელმაც შესანიშნავი ნაწარმოებები გმირობაზე და მამაცობაზე, ძმობასა და ერთგულებაზე, ანდერძივით დაუტოვა მომავალ თაობას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი.
აფხაზეთის მწერალთა კავშირი.**

ნაშრომი ხალხური საისტორიო სიტყვიერების საკითხებზე

ქართული ფოლკლორისტიკა ყოველწლიურად მდიდრდება ახალი ტექსტებით, მონოგრაფიებითა და გამოკვლევებით. ის, რაზედაც ამ 80-100 წლის წინათ ტკბილ-მწარედ ოცნებობდნენ ჩვენი ერის ფიქრთა მპყრობელნი — ილია, აკაკი, ვაჟა — სინამდვილედ იქცა. უკვე შეგროვდა და კვლავ გროვდება ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლები, ფართო გაქანებით ხორციელდება ხალხური შემოქმედების განძების შესწავლა.

ამ დიდ საქმეში უდავოდ მნიშვნელოვანია ღვაწლი პროფ. ქს. სიხარულიძისა, რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად, წინ წაიწია ძველი თაობებიდან გადმოცემული სიტყვიერება. ქს. სიხარულიძე დღეს არის ქართული ხალხური შემოქმედების გამოჩენილი მკვლევარი, ავტორი 180-ზე მეტი ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე.

ამჟამად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ პროფ. ქს. სიხარულიძის ახალ კაპიტალურ ნაშრომზე. ეს არის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" სამტომეული, რომლის ორი ტომიც უკვე გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

ნაშრომი წარმოადგენს ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა სრულ კრებულს, რასაც ერთვის გამოკვლევა, ვრცელი კომენტარები, ვარიანტთა შედარებითი მიმოხილვა და შენიშვნები.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება ადრე არა თუ შეუსწავლელი, თავმოყრილიც არ ყოფილა და მკითხველს მასზე მეტად ზერელე წარმოდგენა ჰქონდა.

მკვლევარის მთავარი დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ის არის, რომ მან ყოველმხრივ შეისწავლა ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თავი მოუყარა არსებულ მასალას, გამოავლინა ათეულობით ახალი ტექსტი და მათი ასეულობით ვარიანტი, შეადარა ისინი საისტორიო წყაროებთან, დაადგინა ცვლილებები და ქრონოლოგიურად და მთელი სისრულით გვიჩვენა ხალხის გენიის უკვდავი ქმნილებანი, რომელთა ტრადიცია საუკუნეებს წვდება. ნაშრომი ხანგრძლივი ძიების შედეგია და ამდიდრებს ჩვენი ხალხური სიბრძნის ეროვნულ საუნჯეს.

მდიდარი ფაქტობრივი მასალის შედარებითმა შესწავლამ მკვლევარი მიიყვანა უდავო დასკვნამდის. ნაშრომში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა სოციალური ფენის თვალსაზრისით ასახულია საქართველოს ისტორია, მისი მდიდარი წარსული. პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარება. ჟანრობრივად მრავალფეროვან ციკლებში, ლირიკულ, ლირიკულ-ეპიკურსა და ეპიკურ ლექსებში, გადმოცემებში, თქმულებებსა და ლეგენდებში გადმოშლილია ხალხის თავგადასავალი, ისტორიული პირების ცხოვრების სამახსოვრო ეპიზოდები, აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლების სურათები. ხალხური საისტორიო პროზისა და პოეზიის ნიმუშები განხილულია ურთიერთკავშირში. ავტორს დაუშვებლად მიაჩნია მათი გათიშვა, რის ტენდენციაც იგრძნობა ცალკე მკვლევართა ნაშრომებში.

ქართული ხალხური რევოლუციამდელი საისტორიო სიტყვიერების განვითარებაში ავტორი გამოჰყოფს ხუთ პერიოდს.

პირველ პერიოდად მიჩნეულია „ხანა ადრინდელი ფეოდალიზმის, ფეოდალიზმის გამარჯვებისა და საქართველოს სამეფოს გაძლიერებისა". ამ მღელვარე ეპოქაში შექმნილი ნაწარმოებებიდან ჩვენამდის მოღწეულია შესანიშნავი ლექსები, თქმულებანი და გადმოცემები ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, სვეტიცხოვლის ოსტატზე, თამარ მეფეზე, შალვა და ივანე ახალციხელებზე, შოთა რუსთაველზე, რუსუდან მეფეზე. მეორე პერიოდი მოიცავს XV-XVII საუკუნეებს — ჩვენი ხალხის ისტორიის ძნელბედობის ეპოქას. ამ დროინდელი ხალხური ძეგლებიდან მეტად მცირე რამეა მოღწეული, მაგრამ ისიც, რაც გადარჩა ისტორიულ ქარტეხილებს, შთამბეჭდავად ასახავს შავბნელი ეპოქის მძიმე სურათს. ამ პერიოდის ნაწარმოებებს წითელი ზოლივით გასდევს თავდაცვის თემა. ავტორი ამ ხანას აკუთვნებს ბახტრიონის ომის, კახეთში თათრების შემოსევის, ზეზვას, ზურაბ ერისთავის ციკლის ლექსებსა და თქმულებებს, რომელთაც საერთო ხერხემალი აქვთ და ერთი პერიოდის [illegible]. მესამე პერიოდად გამოყოფილია XVIII საუკუნე, როდესაც ქართველი ხალხი ეწეოდა თავგანწირულ ბრძოლას „გარეშე მტრებისა და შინაური სოციალური პირობების წინააღმდეგ". ამ პერიოდიდან შემონახულია მრავალი ციკლის ნაწარმოები, რომელთა შორის, აღსანიშნავია სამახსოვრო ლექსები, ბალადები, გადმოცემები, თქმულებანი მეფე ერეკლეზე, სოლომონ პირველსა და სოლომონ მეორეზე, მაია წყნეთელზე, თინა წავკისელზე, თამრო ვაშლოვანელზე, გელა ხათელაშვილზე. მეოთხე პერიოდი XIX საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს. ამ დროს შეიქმნა ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის წყვდიადის ამსახველი ნაწარმოებანი, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარულია „არსენას ლექსი", აგრეთვე ციკლი ლექსებისა და თქმულებებისა გლეხთა ამბოხებების თემაზე. ბოლოს, მეხუთე პერიოდს განეკუთვნება ნაწარმოებანი, შექმნილი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის. ესაა მღელვარე ეპოქა, აღსავსე ახალი მოვლენებით, ხალხის შეგნებასა და კლასობრივ ცხოვრებაში მომხდარი ძვრებით. მკვლევარი ამ შედარებით მოკლე პერიოდში გამოყოფს სამ ეტაპს: პირველ ეტაპს ქმნის ბატონყმობის გაუქმების ამსახველი ნაწარმოებნი, მეორეს — მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ამსახველი, ხოლო მესამეს — 1905-1907 წლების რევოლუციის, რევოლუციის დამარცხების შემდეგ მძვინვარე რეაქციის, იმპერიალისტური ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის ამსახველი ნაწარმოებნი.

წარმოდგენილი პერიოდიზაცია დასაბუთებულია ისტორიული პროცესების ანალიზითა და ფაქტობრივი მასალით. სავსებით არგუმენტირებულია მკვლევარის თეზისი: „თითოეული პერიოდის სხვადასხვა ნაწარმოებთა გავრცელებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი მომენტი: 1. ისტორიულ მოვლენებსა და პირებთან დაკავშირებით ახალი სიუჟეტების შექმნა; 2. არსებული ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირება. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ძირითად ფონდს პირველი გზით შექმნილი ნაწარმოებნი წარმოადგენენ. ეს ნაწარმოებები ისტორიული მოვლენების თავისებური მხატვრული გამოვლენაა. ისინი ძირითადად კოლორიტულია და ხშირ შემთხვევაში ვიწრო ლოკალური ხასიათი აქვთ".

პირველი და მეორე პერიოდის ამსახველი ნაწარმოებნი შესულია ნაშრომის პირველ ტომში, მესამე პერიოდისა — მეორე ტომში. მეოთხე და მეხუთე პერიოდის ტექსტები დაიბეჭდება მესამე ტომში.

მცირე საგაზეთო წერილში ძნელია ნაშრომში აღძრულ ყველა საკითხზე შეჩერება. აღვნიშნავთ მხოლოდ მის მთავარ მეცნიერულ ღირსებებს. როგორც თავშიაც აღვნიშნე, ნაშრომის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ აქ პირველადაა ერთად შეკრებილი სხვადასხვა გამოცემაში, არქივებსა და პირად კოლექციებში გაფანტული მასალა, გამოვლენილია ათეულობით უცნობი ტექსტი ან მისი ვარიანტი. ძირითად ტექსტებს დართული აქვთ ვარიანტები, რომელთა ანალიზი მეტად საინტერესო სურათს შლის მკითხველის წინაშე. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ნაშრომის უკვე გამოცემული ორი ტომი მოცულობით 50 საბეჭდ თაბახზე მეტია, რომლიდანაც ძირითად ტექსტებს ეთმობა მესამედი ნაწილი, დანარჩენი უჭირავს ვარიანტებს, შენიშვნებსა და კომენტარებს.

მხოლოდ ორიოდე ფაქტი. ცნობილი ხალხური ლექსის „სვეტიცხოვლის ოსტატი" ძირითად ტექსტს ახლავს ხუთი მნიშვნელოვნად განსხვავებული ვარიანტი; ასევე ლექსებს: „მრისხანებდა დამბარებელი" მითითებული აქვს ათი, „თამარ დედოფლის ვაჟა" — 16, „შავლეგო" — 20, „ბახტრიონის აღება" — 13, „ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე" — 11, „პატარა კახი" — 11 თავისებური ვარიანტი და ა. შ. თითოეულ ტექსტს ერთვის ძვირფასი შენიშვნები და კომენტარები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ნაწარმოებთა შედარებითი ანალიზისათვის, არამედ რაც მთავარია, ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიის, მათი წყაროებისა და წამყვან პერსონაჟთა ვინაობის გასარკვევად.

ამ კომენტარებში გაღრმავებული და გავრცელებულია ის შეხედულებანი, რომლებიც მკვლევარს გამოთქმული ჰქონდა ჯერ კიდევ ადრე ცნობილ მონოგრაფიაში „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება" (1949 წ.). მონოგრაფიაში წამოყენებულმა პრობლემებმა მეტად საინტერესო და ახლებური გაშუქება ჰპოვეს ავტორის ბოლოდროინდელ გამოკვლევებშიც. აქედან, პირველ რიგში, აღსანიშნავია „საგმირო პოეზიის ტრადიცია საქართველოში", რომლის ძირითადი დებულებანი ავტორმა მოხსენების სახით წაუკითხა ეთნოგრაფიულ მსოფლიო კონგრესზე ბუდაპეშტში 1963 წელს, ხოლო წელს მოხსენება გამოქვეყნდა იქვე (ბუდაპეშტში) რუსულ, უნგრულსა და ინგლისურ ენებზე. მეორე მხრივ, უნდა დავასახელოთ აგრეთვე ნარკვევი — „ეპიკური მოთხრობებისა და ლირიკული სიმღერების შედარებითი შესწავლა" („მაცნე", IV, 1965), რომელშიაც სწორადაა გაშუქებული ისტორიულ-შედარებითი ძიების მეთოდოლოგიური პრინციპები და ეხმაურება საბჭოთა ფოლკლორისტიკის ტრადიციად სადღეისო თეორიულ პრობლემებს.

ნაშრომის თეორიული ნაწილიდან გამოვყოფთ კიდევ ორ საკითხს. პირველი ეხება ხალხური საისტორიო სიტყვიერების ხასიათს, მეორე კი — მხატვრულ მეთოდს. უხვი მასალის ანალიზმა მკვლევარი მიიყვანა სწორ დასკვნამდის: „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ძირითადი ფონდი საგმირო ხასიათისა არისო", მართლაც, საისტორიო და საგმირო სიტყვიერების გათიშვა შეუძლებელია. საისტორიო ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟები უმეტესად გმირობას ჩადიან.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის კონცეფციას საისტორიო ნაწარმოებთა მხატვრული მეთოდის შესახებ. ასეთ მეთოდად მას სამართლიანად მიაჩნია რეალიზმი. „ყველა პერიოდის ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში, — წერს იგი, — როგორც მათი თემატიკური და სოციალური შინაარსის მიმოხილვიდან ჩანს, ისტორიული ფაქტის ანალიზის, გმირის, წარმოსახვისა და მისი შინაგანი ბუნების ახსნის მხატვრული მეთოდი არის რეალიზმი". ეს მეთოდი, ცხადია, ახალ თვისობრიობას იძენდა იმის მიხედვით, თუ რომელ ეპოქასთან, მხატვრული შემოქმედების განვითარების რომელ პერიოდთან და ეტაპთან იყო დაკავშირებული. ადამიანთა დამოკიდებულების პრაქტიკა სრულყოფდა მას. ამ მხატვრულმა მეთოდმა ნიადაგი მოუმზადა ცხოვრების ასახვის შემდგომ ფორმას — კრიტიკულ რეალიზმს, რომლის სათავენი, უეჭველად, ხალხური შემოქმედების წიაღში საძიებელია.

ხალხური შემოქმედების ჟანრების ჩართვა რეალიზმის ისტორიაში, ჩვენი აზრით, ფრიად პერსპექტიული თეორიული განზოგადოების შესაძლებლობას იძლევა და იწვევს არა მარტო ფოლკლორისტთა, არამედ ლიტერატურისმცოდნეთა ინტერესსაც.

პროფ. ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება" ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი მკვიდრ ნიადაგზე აყენებს არა მარტო საისტორიო, არამედ მთლიანად ქართული ხალხური საისტორიო და საგმირო სიტყვიერების შესწავლას მეცნიერულ თანამედროვე მეთოდებით.

ალ. ღლონტი

თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატებიდან.



სპექტაკლ „ფაუსტის" ესკიზი. მხატვარი თ. მურვანიძე.

კოლაუ ნადირაძე

ქუთაისის სადარბაზოებს

რაც თქვენ დაგშორდით
ორმოცდაათი გავიდა წელი!
მაგრამ ეს თითქოს
სულ ახლა მოხდა.
მე თითქოს გუშინ
ვიყავი თქვენთან
და თითქოს გუშინ
განვიცდიდი თქვენს მყუდროებას.
მე თითქოს გუშინ გაბარებდით
აწ უკვე ნაშლილს,
არა ოცნებით ჩემში შობილს,
არა უმაწვილურ აღტკინებით
ჩემში შთაბერილს
დიდ მწუხარებას,
ღრმა კაეშანს და მარტოობას.
ო, მე მინახავს, როგორ ვიდოდა
თქვენს ახლოს ხშირად
დიდი აკაკი —
საქართველოს განსახიერება, —
ქედმოუხრელი,
როგორც გედი,
მისი ოცნება.
ო, მაშინ ქარიც შეგეხებოდა
და წუწავდა წვიმით
ის თავის მოთქმას
და კორიანტელს,
რომ თქვენს მახლობლად
გაევლო მშვიდად,
ისე ვით მეფეს პორფირისანს
ჭაღარა მგოსანს —
ერის დიდებას,
უკვდავებას
და მის მშვენებას...
ვხედავ დიდმა დრომ,
დიდმა დრომ განვლო,
დაუვიწყარნო!
მაგრამ მე მოვალ,
კიდევ განახავთ,
კიდევ გაწვევთ,
გაწვევთ მარტო,
ფეხაკრეფით,
თავდახრილი,
და ისევ ისე
თქვენ ჩემ გულს განდობთ.
ისევ გავათევ
თქვენს თაღებ ქვეშ
ღამეს ავდრიანს
ჟამს შემოდგომის,
როს ქუთაისის
ქარი მძვინვარე
შმაგათ მოფანტავს
ფოთლებს დაცვენილს,
დაატრიალებს მათ ფერხულში
და მათ კამარას
ცამდე აფრენილს,
ისევ დაშლის,
ქუჩებში გაშლის.
მე მოვალ, როცა მიძინებულს,
ჩემს ტურფა ქალაქს
მოახვევს ღამე
ულურჯეს ნაბადს
და წვიმის შრიალს,
მის გალობას,
სარკმლის მინებზე
წვეთების წკრიალს
(— ეგზომ უნაზეს და
ამოუხსნელს —)
აკვანში ბავშვიც მითვლემილი
ღიმილით უსმენს, —
გაწვევთ მაშინ,
ძვირფასებო,
და,
თქვენს თაღებქვეშ
მიყუჩული,
გავათევ ღამეს
(ვინ იცის,
ეგებ უკანასკნელს)...
ვიცი,
თქვენ მიცნობთ,
მიმიღებთ დღესაც,
როგორც ოდესღაც...
ო, მაშინ მარტო არ ვყოფილვარ;
გულის და ფიქრის
ტოლებთან ერთად,
ერთი მერხიდან აფრენილნი
ვიდოდით თქვენთან.
ჩვენ,
ერთ ემბაზში მონათლულნი,
ერთი ღვთაების მოტრფიალნი,
მონები ერთი ნექტარების
და დიდებისა,
მყუდრო დასაყრდენს
ვეძებდით თქვენთან
და გშორდებოდით გათენებისას...
თქვენვე იყავით მოწმენი
ჩვენი ძმობისა,
ახალგაზრდული სისპეტაკის
და სიწმინდისა,
ჩვენი პირველი გაფურჩქვნისა,
პირველი ტრფობის,
უნეტარესი პოეზიის ნექტარით
თრობის.
თქვენ გახსოვთ,
გახსოვთ
ის წუთები,
ღამეები,
ის სახეებიც.
ღიმილი მათი
ვინც აღარ არის!
ჩვენი ლოცვები
თქვენ გესმოდათ
წვიმის ხმაურში,
ქარის მოთქმაში,
მელოდიურ აურზაურში.
იძინეთ მშვიდად!
აწ აროდეს მოგესმებათ
ხმები ნაცნობი
ავდრიან ღამით
ჟამს შემოდგომის.
ო, აწ აროდეს
არ გაივლის
თქვენს ახლოს ლანდიც
მეფური ლანდი,
დიდი აკაკის!
არც შთაგონება,
არც ცრემლები,
არც ლექსის კვნესა
(— რომ სულს გოდებს —)
თქვენს მყუდროებას
არ შეაშფოთებს,
აწ არასოდეს!

„თამაში" აკრძალული იდეებით

(დასასრული).

გორიც რეცენზენტია, არ უკადრებს ვეზონ დაულაგებელი წინადადება. ინტუიტურად ვხედავ, რისი თქმაც სურს კარბელაშვილს: კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირება როგორ შეიძლება, ალბათ, ეს უნდა თქვას. ამავე მოკლედ მოვახსენებ ჩვენს რეცენზენტს. ფართო აზრით ცივილიზაცია და კულტურა სინონიმური ცნებებია. მაგრამ არსებობს ამ ცნებების სხვა, უფრო ზუსტი განსაზღვრაც.

ცივილიზაცია იქმნება ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისა და საწარმოო საშუალებათა, ტექნიკის განვითარების საფუძველზე. ცივილიზაცია მატერიალური კულტურაა. ცივილიზაციის ცნებაში შედის ადამიანის მატერიალურ-ეკონომიური ცხოვრების, საცხოვრებისა და ტანსაცმლის დამზადების მაღალი დონე, ზუსტ მეცნიერებათა, შრომის იარაღების, ადამიანის შრომის შემამცირებელი და შემამსუბუქებელი მანქანებისა და აპარატების განვითარება, ქალაქებისა და ბინების მშენებლობა, მიმოსვლის საშუალებანი და ა. შ. ცივილიზაცია ასეთი გაგებით ტექნიკურ-მატერიალურია. ცივილიზაცია ადამიანის ეკონომიურ-მატერიალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. კულტურა კი თავის არსებით ნიშნად გულისხმობს ეთიკას, მაღალ ზნეობას. კულტურა თავისში მოიცავს ხელოვნებას, ჰუმანიტარულ აზროვნებას, ფილოსოფიას, ერის ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს და ა. შ. კულტურა სულიერ-ინტელექტუალურია, „შინაგანია". არც თუ ძალიან იშვიათად წარმოიქმნება წინააღმდეგობა კულტურასა და ცივილიზაციას შორის. ნუთუ რეცენზენტს არ გაუგია გამოთქმა „ცივილიზებული ბარბაროსი"? ნაცისტურ გერმანიაში კულტურა უდაბლეს საფეხურზე იდგა, მაგრამ ცივილიზაციის (მრეწველობა, ტექნიკა, ტრანსპორტი, აპარატურა და ა. შ.) დონე არ იყო ასეთივე დაბალი. ნაცისტები სწორედ ცივილიზებული ბარბაროსები იყვნენ, აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით, მაგრამ შინაგანად ცარიელნი, სულიერ-ინტელექტუალურ ინტერესებს მოკლებულნი და მხეცივით ამორალურნი. მათ სუფთა ბინები და ავეჯი, გაკრიალებული უნიტაზები და სამზარეულოები ჰქონდათ, ისინი ყოველდღე იპარსავდნენ წვერს ულტრა-მოდერნული ელექტრო-საპარსით, დილით და საღამოთი აუცილებლად იწმენდნენ კბილებს სურნელოვანი პასტით, დღეში ორჯერ იღებდნენ აბაზანას, ელეგანტურად იცვამდნენ და ა. შ., მაგრამ მათი ეთიკური დონე ცხოველის „მორალს" უახლოვდებოდა. განა აიხმანი ცივილიზებული ბარბაროსი არ იყო? ისინი ცივილიზაციის მონაპოვართ იყენებდნენ ადამიანთა დასახოცავად და საწამებლად, „დახვეწილი" სასჯელის გამოსაგონებლად, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სულიერი კულტურა, ჰუმანურობა, ეთიკა, ადამიანის სიცოცხლისადმი მოწიწება, ინტელექტი, ჰუმანიტარული აზროვნება, რაც ბილისდამიღით ქმნის ნამდვილ კულტურას. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიაში კი ცივილიზაცია დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ სწორედ ამ დროს შეიქმნა უდიდესი გერმანული კულტურა (გოეთე, შილერი, მოცარტი, ბახი, ბეთჰოვენი, კანტი, ჰეგელი და სხვები).

განა თანამედროვე ბურჟუაზიულ დასავლეთში არ მოიპოვებიან ისეთი ფულისმფლობელი ცივილიზებული ცხოველები, რომლებიც ამერიკულ ლიმუზინებს ფლობენ, თავიანთ ფეშენებელურ ვილებს ულტრამოდერნულად რთავენ, ერთი სიტყვით, მაქსიმალურად იყენებენ ცივილიზაციის მონაპოვარს, მაგრამ შინაგანად სრულიად უკულტურონი არიან, გონებრივი და სულიერი სიღატაკით ხასიათდებიან და ადამიანის ღირსების საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ ფულის კუთვნება ჰგონიათ. ამათ აქვთ ტელევიზორი, მაგნიტოფონი, რადიოაპარატი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, ნაგავსადენი და ა. შ. ერთი სიტყვით, მაქსიმალურად აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და მოტორიზებულიც არიან.

მაგრამ იმავე დასავლეთში არიან ადამიანები, რომელთაც, შესაძლოა, არც ამერიკული ლიმუზინი ჰქონდეთ და არც მაგნიტოფონი, ვერც ავეჯის „ნიუანსებში" ერკვეოდნენ და არც ის იცოდნენ, რა დროს რა კერძი უნდა მიირთვან სუფრაზე, მაგრამ ამათ შეიძლება სულიერი მოთხოვნილებანი ჰქონდეთ და აზროვნების, ხელოვნების, კულტურის მონაპოვართა გარეშე ცხოვრება უჭირდეთ. აი, დაახლოებით ამაზეა ლაპარაკი ჩემს წინასიტყვაობაში (ცხადია, ძალიან შეკუმშულად და მოკლედ) — და დაახლოებით ამას გამოხატავს რემარკი თავის „შავ ობელისკში" (სინამდვილის სხვა მხარეებთან ერთად).

რაც შეეხება XX საუკუნის ევროპის კულტურულ კრიზისს, რასაკვირველია, ბურჟუაზიულ ევროპას გულისხმობს, რადგან თვითონ რემარკი მხოლოდ ბურჟუაზიული სამყაროს შესახებ წერს. როგორც ცნობილია, რემარკს თავის არცერთ ნაწარმოებში არ აუსახავს არაბურჟუაზიული სინამდვილე. ხოლო რაც შეეხება რეცენზენტის მიერ ჩემს კონტექსტში პოლიტიკისა და ჩეხოსლოვაკიის „ჩართვას", ეს ისევ და ისევ „აკრძალული იდეების" სფეროს განეკუთვნება. ამჟამად ბურჟუაზიულ ევროპაში რომ კულტურის კრიზისია, ამას არა მარტო ჩვენ, არამედ ბურჟუაზიული მოაზროვნეებიც კი აღნიშნავენ.

ჰუმანიტარული სიყვარულით აღძრული რეცენზენტი გერმანულ ფონეტიკასაც ეხება, მეტად ლაღად: „ცნობილია, რომ გერმანულ „h"-ს ქართული — „ჰ" შეესატყვისება, ხოლო „ch"-ს კი — „ხ". მოვაგონებთ ჩვენს კეთილგანწყობილ რეცენზენტს და მორიდებით ვეტყვით შემდეგს: გერმანული ფონეტიკის ყველა ელემენტარულ კურსშიც კი ხაზგასმით აღნიშნულია (ეს წერია აგრეთვე ზოგიერთი მსხვილი ლექსიკონის ფონეტიკურ დანართებშიც), რომ ასო „ch" ზოგჯერ „ich — ლაუტს" გამოხატავს, ხოლო ხან „ach-ლაუტს", უფრო მეტიც, ასო ch ხანდახან ბგერა „შ"-ს, ხან კი ბგერა „კ"-ს გამოხატავს. გერმანულ ფონეტიკაში ერთმანეთისაგან არჩევენ „ich-ლაუტს"-ა და „ach-ლაუტს". ასო „ch" „i"-სა და „e"-ს შემდეგ წარმოითქმის დაახლოებით როგორც „ჰ", ხოლო a, o, u-ს შემდეგ — როგორც „ხ" (განა გერმანულად ბახი და რიხარდი ერთნაირად წარმოითქმება?!) ბერლინის ერთ-ერთი უბანი შარლოტენბურგი ასე იწერება: Charlottenburg (აქ „ch" „შ-დ" იკითხება), კარბელაშვილის წესით რომ გავყვეთ, „ხარლოტენბურგი" უნდა დავწეროთ. დემოკრატიული გერმანიის ქალაქ კარლ-მარქს-შტადტის ძველი სახელწოდებაა კემნიცი, რომელიც ასე იწერება: Chemnitz (აქ „ch" „კ"-დ იკითხება; შეიძლება უამრავი მაგალითის მოტანა, რომლებიც დაადასტურებდა, რომ „ch" ძალიან ხშირად „კ"-დ წარმოითქმის: გერმანული წარმოშობის ქალაქი კური, კლოტარი, ქრისტოფი, კლოდვიგი, ქრისტიანი და სხვ). კარბელაშვილმა ჯერ უნდა დაასაბუთოს, რომ „ich-ლაუტი" „ხ"-ს უფრო უახლოვდება, ვიდრე „ჰ"-ს. ასეა თუ ისე, ეს სადავო საკითხია, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ მე თითქოს გერმანულ ანბანს არ ვიცნობდე. სხვათა შორის, პროფ. რიჰარდ მეცლაინმა თავის „გერმანულ-ქართულ ლექსიკონს" დართო მეორე ფონეტიკური შესავალი, სადაც „nichts"-ის ასეთი ქართული ტრანსკრიფცია მოგვცა: „ნიჰტს". ლექსიკონის თავზე აწერია ქართულად: რიჰარდ მეცლაინი (იწერება Richard). შესაძლოა, მეცლაინსაც არ დავეთანხმოთ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გერმანელმა მეცლაინმა „არ იცის როგორ იწერება ფრიდრიხი..." და ა. შ.

კარბელაშვილი წერს: „...კაკაბაძე უნებურად აღიარებს, რომ ლენცი, კესტერი და ლოკამპი მეგობრები* ყოფილან და არა ამხანაგები, როგორც იგი ამას ადრე თითქოს თავგამოდებით „ამტკიცებდა". კარბელაშვილი აქ იმ რეცენზიას გულისხმობს, რომელიც 1960 წელს უნივერსიტეტის გაზეთში, მისი „სამი მეგობრის" თარგმანზე დავბეჭდე. (იხ. „ახალგაზრდა სტალინელი". 1960, 1 აპრილი). როგორც ჩანს, იგი კვლავ თავის პოზიციაზე დგას სათაურის გაგების საკითხში. შევეცდები კიდევ ავუხსნა. განა მე ვამტკიცებ, რომ ლენცი, კესტერი და ლოკამპი მეგობრები არ არიან-მეთქი?! მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ, რემარკის აზრით, ჰუმანური მეგობრობა ომში, ბრძოლის ველზე, ფრონტზე, გაჭირვებაში წარმოქმნილი მეგობრობაა, ხოლო ფრონტელ მეგობარს, ბრძოლის ველზე დამმობილებულს გერმანულად Kamerad ჰქვია და არა Freund. რემარკის რომანის სათაურში სწორედ იმას გვიმხილავს, რომ ეს ვაჟები ომში, ბრძოლის ველზე დამეგობრდნენ და ამიტომ მათი მეგობრობა ასე მტკიცეა. ეს რომ ასე არ იყოს, განა თვითონ რემარკი ვერ უწოდებდა თავის რომანს „Drei Freunde"-ს? მე ვეკითხები პატივცემულ რეცენზენტს, მაშ რატომ დაარქვა თავის ნაწარმოებს მწერალმა „Drei Kameraden" და რატომ თარგმნა სათაური ასევე სხვა ენებზე, მათ შორის, რუსულადაც. განა რუსი მთარგმნელები რომანს ვერ უწოდებდნენ „Три друга"-ს? მათ კი მაინც „Три товарища" არქვეს. ჩემი ბო არ სჯერა გ. კარბელაშვილს, მაგრამ უეჭველი და რუსი მთარგმნელებისადმიც რატომ იჩენს ასეთ უნდობლობას?! რემარკი სამოქალაქო ცხოვრების მეგობრობას, რომელიც მწერალს ყალბად და ფარისევლურად ესახება, უპირისპირებს ფრონტულ ამხანაგობას. სწორედ ამის შესახებ წერდა რემარკი თავის პირველსავე რომანში და შემდეგ ეს ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის შემოქმედებას: „მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჩვენში ერთობლიობის ძლიერმა, პრაქტიკულმა გრძნობამ გაიღვიძა. ეს გრძნობა სანგრებში გაიზარდა, ამხანაგობად გადაიქცა და ეს უკანასკნელი კი საუკეთესოა იმის მიერ მოტანილ ნაყოფთა შორის" (ერიხ მარია რემარკი — „დასავლეთის ფრონტი უცვლელია", თარგმანი ქ. გამსახურდიასი, გვერდი 26).

ახლა შევეხოთ ენობრივი ხასიათის შენიშვნებს. წინასწარ ვაღიარებ, რასაკვირველია, ჩვენ უცოდველი დალაი-ლამები არ გამოვდივართ და არც უზადო მოქართულეებად მოგვაქვს თავი. წინასიტყვაობასა და თარგმანში ენობრივი ხასიათის ლაფსუსები და შეცდომები, უეჭველად, არის, რომელთა ნაწილი გ. კარბელაშვილს მართებულად აქვს აღნიშნული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს შენიშვნები იმ რადიკალური და ნიჰილისტური დასკვნის საფუძველს არ იძლევიან, რასაც რეცენზიის ბოლოში იძლევა კარბელაშვილი. ამის გარდა, ალბათ, ამისთანა მოცულობის (473 გვერდი) თითქმის ყველა წიგნში შეიძლება ასეთი შეცდომების დაძებნა.

ხაზგასმით აღვნიშნავ, კარბელაშვილის მიერ შემჩნეული ენობრივი შეცდომები ძირითადად სტილისტური ლაფსუსების კატეგორიაში თავსდება და არც ერთი მათგანი დედნის აზრს არ ამახინჯებს. ამის გარდა, კარბელაშვილის მიერ ციტირებული მრავალი ადგილი შეცდომის, სტილისტურად გაუმართაობის შთაბეჭდილებას კონტექსტიდან ამოგლეჯისა და დედნის გაუთვალისწინებლობის გამო სტოვებს. ბევრი რამ თვით რემარკის სტილითაა განსაზღვრული. ზოგჯერ თვითონ რემარკი შეგნებულად არღვევს გერმანულ სინტაქსს და გამართულ სტილს, რათა პერსონაჟთა მეტყველება შეინარჩუნოს. ზოგჯერ კი ავტორი ასევე შეგნებულად მიმართავს „ხელოვნურ", „პაროდიულ" გამოთქმებს, რათა ახახული სიტუაცია უფრო რელიეფური გახადოს. კარბელაშვილის მიერ კონტექსტიდან ამოგლეჯილი შემდეგი უაზრო წინადადება სრულებით გამართული და ბუნებრივი ხდება, თუ კი მას კვლავ ძველ კონტექსტში ჩავსვამთ: „ისინი მკვდრები ელაგნენ". მართლაც უაზრო, თითქოსდა ულოგიკო და მეტისმეტად ხელოვნური წინადადება ჩანს, (თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ რეცენზენტი იძლევა ცუდის თარგმანის ტექსტს. იქ წერია: „ისინი... ელაგნენ"...) მაგრამ ჩავსვათ ეს ფრაზა თავის ადგილას დედნის კონტექსტში და ყველაფერი ნათელი ხდება. რემარკი აქ ლაპარაკობს გვამების ფენებზე, ერთმანეთისაგან არჩევს სხვადასხვა დროს მოკლულ ჯარისკაცთა გაყინულ ცხედრებს, რომელნიც ერთიმეორეზე სწორედ რომ ელაგნენ და არა ეყარნენ. „ეს გვამები დიდიხნის იყო, სოფელი მრავალჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში — ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში და ახლა, აპრილში. მას იკავებდნენ და სტოვებდნენ, სტოვებდნენ და კვლავ იკავებდნენ. ხოლო ნამქერი ისე ღრმად მარხავდა გვამებს, რომ ხშირად სანიტრები უკვე რამდენიმე საათის შემდეგ მათგან ვეღარ პოულობდნენ. შემდეგ კი ყოველი დღე ახალ თეთრ საბურველს ჰფენდა გაპარტახებულ მიდამოს, ისევე, როგორც მოწყალების და აფარებს ხოლმე ზეწარს გასისხლიანებულ საწოლს. პირველად იანვრის მკვდრები გამოჩნდნენ. ისინი ყველაზე მაღლა ელაგნენ და აპრილის დასაწყისშივე ამოჩნდნენ, სულ მალე მას შემდეგ, რაც თოვლმა დნობა დაიწყო" (ერიხ მარია რემარკი — „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა", 1960, გვ. 26). ამ კონტექსტში არამც და არამც არ გამოდგება კარბელაშვილის მიერ შემოთავაზებული „ეყარნენ". საწყენია, რომ ჩვენი რეცენზენტი აბსოლუტურად არ ითვალისწინებს, ანგარიშს არ უწევს დედნის ტექსტს, მის სტილს და სულს, და ქართული ენის სიწმინდის აბსტრაქტული პოზიციიდან გვარიგებს ჭკუას. მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება. რემარკის ტექსტს სათითაოდ არ ეკარება რეცენზენტი, თორემ შემდეგი შენიშვნისაგანაც შეიკავებდა თავს: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შემოხვეწილი ორი წინადადებიდან თურმე „ირკვევა", რომ ცხენს ჰქონია პირი, ხოლო კაცს დრუნჩი!" კი მაგრამ რემარკის ტექსტში თუ კი ასეა, მთარგმნელებმა შეუსწორონ ავტორს?! (Maul და Schnauze*) ადამიანისადმი აქ გარკვეული ქუმირული, ირონიული დამოკიდებულებაა გამჟღავნებული, ხოლო ცხენის მიმართ ავტორი ნეიტრალურია; ამით აიხსნება სიტყვების ასეთი „პარადოქსული" გადანაცვლება.

„საიდან იცი"? რეცენზენტს რუსული ენის კალკი ჰგონია, რაც მას საფუძველს აძლევს ეჭვი შეიტანოს ჟურნალების კვალიფიკაციაში: წიგნს კი აწერია „თარგმანი გერმანულიდან", მაგრამ რუსულიდან თარგმნილი ჩანსო... კი მაგრამ განა გერმანულადაც ასე არ არის: Woher weisst du?". კარბელაშვილის „მოვიწყო სკანდალი" — მხოლოდ რუსული ჰგონია. გერმანულადაც ასეა: „einen Skandal machen", „მაგრამ უკვე გვიან იყო", რატომ ჰგონია კარბელაშვილს — но было уже поздно-ს სიტყვასიტყვითი თარგმანი, როდესაც გერმანულშიც ამბობენ: Aber es war schon spät. ჩვენი აზრით, რეცენზენტს ევალება იმ ენისათვის ანგარიშის გაწევა, რომლიდანაც თარგმნილია სარეცენზიო წიგნი. ფსიქოლოგიურად სავსებით გასაგებია კარბელაშვილის „ცდომილების" მიზეზი: ამდაგვარი გამოთქმები მას მხოლოდ რუსულში უნახავს და გამოჰყავს სავსებით „ლოგიკური" დასკვნა: მაშ, ისინი მთარგმნელებმა რუსულიდან აიღეს. ზუსტად იგივე ითქმის ამ რიგის სხვა შენიშვნებზე. ყველა მათგანი გერმანულ ენაშიც დასტურდება.

„ყური მიაპყრო" — არ შეიძლებაო, გვასწავლის ჩვენი რეცენზენტი. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი — შეიძლება (იხ. განმარტებითი ლექსიკონი, ტ.—V. გვ. 419: „... ვინმესკენ ან რამესკენ მიქცევა, მიმართვა (თვალისა, ყურისა, ყურადღებისა) „წყლის ჩხრიალს ყური მიაპყრო" (მ. მრევლიშვილი), „ყური მიაპყარ სხვების აზრსა, შენი დაიფარე" (ი. მაჩაბელი). ჩვენმა რეცენზენტმა ზოგჯერ რომ მაინც დაუჯეროს მაჩაბელს, ვიდრე ამით რამე დაშავდება?

„აკრძალული იდეების" გამოყენების მაგალითია თვით რეცენზიის სათაურიც: „ნაბიჯები წყვდიადში". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთარგმნელებს თავიანთ ტექსტში ეს სიტყვები ზუსტად ამდაგვარი სახით ჰქონდეთ დაბეჭდილი. ნამდვილად კი ჟურნალებში რემარკის ტექსტი ადეკვატურად თარგმნეს: „ნისლი სულ უფრო და უფრო დაბლა იწევდა და სწრაფად ბნელდებოდა. იგი მრუმე ფერის რძის წვნიანს წააგავდა, რომელშიაც ადამიანები დაიბიჯებდნენ" (გვ. 76) სად არის აქ „ნაბიჯები წყვდიადში"?! ასე ყველაფრის გადაკეთება შეიძლება. რა უფლება ჰქონდათ მთარგმნელებს შეეცვალათ რემარკის სახეები და შედარებები?! კარბელაშვილს შეუძლია რემარკს უჩივლოს ან ამ ადგილის თავისი თარგმანი შემოგვთავაზოს, თარგმანის ტექსტის ასეთი გაყალბების უფლება კი მას არა აქვს. „მკვეხარობა" არ მოსწონს ჩვენს რეცენზენტს და „კოჭობანაობით" მიცვლის, მაგრამ მკვეხარობა დადასტურებულია როგორც ხალხურ, ასევე ლიტერატურულ ენაშიც (იხ. განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 1277) „ასევე"-ს მიკრძალავს რეცენზენტი, „ისევე" უნდაო. რატომ? განმარტებით ლექსიკონში ისიცაა და ესეც. „ფულს აკეთებდა" — რუსულიაო, ბრძანებს კარბელაშვილი. რატომ? გერმანულადაც არის Geld machen და ინგლისურადაც make money. განმარტებით ლექსიკონში „ფულს აკეთებს" შეტანილია სრულიად უდანაშაულო გამოთქმად (იხ. ტ. VII, გვ. 195; აგრეთვე ტ. I, გვ. 238: — ფულს აკეთებს — საუბ — ფულს იძენს...).

„ყოველივე ამასთან ერთად კაკაბაძე არასწორად წერს ზოგიერთ სიტყვას: „რამდენჯერმე" ნაცვლად წერს „რამდენიმეჯერ", „ტიპის" ნაცვლად — „ტიპს", „გახინჯვის" ნაცვლად — „გამონჯვას", „ვაიცეს" — ნაცვლად „ვაიცნეს". ყველა ეს სიტყვა შეგვხვდება განმარტებით ლექსიკონში და ყველა ჩემი „შეცდომა" ლექსიკონში უდანაშაულო, მართებულ ფორმად აღიარებულა. გ. კარბელაშვილის მიერ შემოთავაზებული ფორმებიც სწორია, მაგრამ არც ერთს არ ენიჭება უპირატესობა. კარბელაშვილის აზრით, მე ერთმანეთში ვურევ „ეძახიან"-ს და „უწოდებს"-ს (ჩვენი რეცენზენტი მტკიცებს, როგორ შეიძლება სიტყვა „ეძახიან"-ის ასეთი მნიშვნელობით გამოყენება) „ერთმანეთს ეძახიან ისინი ასეთ ბედნიერებას „ძროხის ბედნიერებას". მაგრამ, ასე განსაჯეთ, „ძახილის" ერთ-ერთი მნიშვნელობა სახელის მიცემა, წოდებაც ყოფილა (იხ. განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 726).

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ რემარკი დაიბადა ფრანგული წარმოშობის ოჯახში, თურმე ამით მის ფრანგობას ვაღიარებთ. როდის იყო, რომ რომენ როლანზე ან ბარბიუსზე წერდნენ, ფრანგული წარმოშობის ოჯახში დაიბადაო. იქვე ხომ წერია: მისი წინაპრები საფრანგეთის რევოლუციის დროს გერმანიაში გადმოვიდნენო. პირდაპირ საოცარია, რატომ ირთულებს ჩვენი რეცენზენტი საქმეს, რატომ იტკივებს ამ შემთხვევაში აუტკივარ თავს?! ყურადღება მიაქციეთ რეცენზენტის პათეტიკურ კომენტარს, მას შემდეგ რაც „შეცდომაში" დამიჭირა: „მორჩა და გათავდა! არავითარი განმარტება, არავითარი მტკიცება! თქვა და ასეა!" კი მაგრამ საფრანგეთიდან გერმანიაში გადმოსახლდნენ საფრანგეთის რევოლუციის დროს, განმარტება არ არის?! სხვას რას მოითხოვს, საინტერესოა!

რეცენზენტი ერთგან გრამატიკული ხასიათის ცოდნასაც გვაწვდის: „ცნობილია, რომ წერტილიდან წერტილამდე გამოხატულ აზრს ეწოდება წინადადება, რომლის ორი ძირითადი ატრიბუტია ქვემდებარე და შემასმენელი". მართალია, შეიძლება მასავით კარგად არ ვიცოდე გრამატიკა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ატრიბუტი განსაზღვრებას ჰქვია და განსაზღვრება არ შეიძლება ერთდროულად იყოს განსაზღვრება, ქვემდებარეც და შემასმენელიც.

უნდა ვაღიაროთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გ. კარბელაშვილი დიდად გაწაფულა და დახელოვნებულა სიტყვათა წყობის დარგში. ამის უარყოფა სხვისი კარგის დაუფასებლობა და მიკერძოებულობა იქნებოდა, თუმც უზადო არც თვითონ არის: „ზერელე ფაქტების კომპილაცია". უნდა იყოს: ფაქტების ზერელე კომპილაცია, რადგან თავისთავად ზერელე ფაქტი არ არსებობს. ერთი რამ გვინდა ვთხოვოთ ჩვენს ძვირფას რეცენზენტს, თუ არ გვიწყენს: მომავალში არასწორად როცა მოიტანს რომელიმე ადგილს თუ სიტყვას სარეცენზიო წიგნიდან, კომენტარს მაინც ნუღარ დაურთავს. ჩემს წინასიტყვაობაში წერია „ხელშეუხებელი", რეცენზენტი ციტატშივე გადამიკეთებს სიტყვას შემდეგნაირად: „ხელშეუხებლელი" და შემდეგ იქვე აღშფოთებულ შენიშვნასაც მიაყოლებს, ალბათ ხელშეუხებადი უნდოდა ეთქვაო. ესეც აკრძალული იდეები!

ნოდარ კაკაბაძე

---

* აქ კორექტურული შეცდომაა, წერია „მეგობრები", მაგრამ კორექტურული შეცდომის ბრალდებად გამოყენება კარბელაშვილის ხერხია. წინასიტყვაობაში „ავტოს" ნაცვლად გაიპარა „ავტორი" და ჩვენი რეცენზენტი ამაზე მთელ „თეორიას აგებს". „შეცდომების გასწორებაში" ეს კორექტურული ლაფსუსი აღნიშნულია.

* იხ. Erich Maria Remarque, Zeit zu leben und Zeit zu sterben, Roman, Aufbau — Verlag Berlin, 1957, S. 153, 154

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ორი სპექტაკლი

თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი ახალ სეზონს ორი ახალი სპექტაკლით შეხვდა. ეს არის გ. ხახუტაშვილის „შაითან ბიჭო" და ა. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა".

„თეატრი ზნეობის სკოლაა!" — თეატრალური ხელოვნების ამოცანის ასეთი განსაზღვრა ყველაზე მეტად მოზარდმაყურებელთა თეატრს ეხება.

თეატრის წინაშე დასმულ ამ ამოცანას ემსახურება გ. ხახუტაშვილის ზღაპარი-კომედია „შაითან ბიჭო". სულხან საბა ორბელიანის იგავებზე ოსტატურად დაწერილმა პიესამ მდიდარი მასალა მისცა თეატრის მთავარ რეჟისორს ს. ჭელიძეს აღმზრდელობითი ხასიათის, მომხიბვლელი სპექტაკლის შესაქმნელად. ეს არის მრავალფეროვანი სახეებით ამეტყველებული წარმოდგენა, რომელიც ასწავლის მაყურებელს, რომ მარადიულია მხოლოდ სიმართლე და პატიოსნება, ხოლო ბოროტება, ვერაგობა ადრე თუ გვიან მარცხდება. პიესა მთავრდება რუსთაველის სიტყვებით — „ბოროტსა სძლია კეთილმან". სწორედ ამ დასკვნისათვის არის შექმნილი ეს შესანიშნავი სპექტაკლი.

„შაითან ბიჭო" მხიარული, კომედიური შინაარსით სავსე პიესაა. მასში ბევრია ზღაპრისთვის დამახასიათებელი პირობითობა, მაგრამ ყველაფერი გასაგები და მიმზიდველია. სპექტაკლში შესანიშნავად განასახიერებენ როლებს მსახიობები შ. ჯაჯანაშვილი, ი. ტყავაძე, ფ. სოხლეშვილი, გ. რეკვიაშვილი, ა. ფხალაძე, ნ. ცერცვაძე, რ. მიქაბერიძე, ჯ. ჭანტურია და სხვები.

სამწუხაროდ, მეორე წარმოდგენა — „როცა მთავრდება ბავშვობა", მხატვრულად სუსტია.

გავეცნოთ პიესას.

მოქმედება თითქმის მთლიანად სკოლაში, კერძოდ, საკლასო ოთახში სწარმოებს. ავტორი გვაცნობს ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც პირველად შედის გაკვეთილზე. იგი ღელავს, შეშინებულია და თავის გამოუცდელობასთან ერთად სრულ უმწეობასაც ამჟღავნებს.

რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი გაკვეთილებზე შესვლის წინ პირველ ხანებში ღელავდეს, ერთგვარ შიშსაც განიცდიდეს, მაგრამ თუ ეს მღელვარება და შიში თანდათან ვერ დაძლია, იგი თავის პედაგოგიურ მოვალეობას ვერ შეასრულებს, და ასეთი უმწეო მასწავლებლის სახის ჩვენება ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს ნორჩ მაყურებელს. თეატრმა მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა შეაყვაროს, მასადმი პატივისცემის გრძნობა უნდა გაუღვივოს, ამ სპექტაკლს კი, ფაქტიურად, საწინააღმდეგო შედეგი მოსდევს.

სპექტაკლი გვაცნობს მერვე კლასის მოსწავლეებს. მაგრამ რატომღაც ყველა წარმოდგენილია უწესო და უდისციპლინო. ისინი მასწავლებელს არ ემორჩილებიან, არც ერთმანეთს სცემენ პატივს, მერხებზე დარბიან, მასწავლებლის მაგიდაზე ფეხით დგებიან, დაფაზე წერენ ათასგვარ სისულელეს, მზად არიან, ერთმანეთს თავპირი დაუმტვრიონ, გაკვეთილის დროს ხარხარებენ, ლაზღანდარობენ... პიესის და სპექტაკლის ავტორები, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ სასკოლო ცხოვრების ჩვენება მოსაწყენი იქნებოდა, თუ მას „მხიარულ ფორმაში" არ ასახავდნენ.

მაყურებელთა დარბაზში მართლაც დიდია „მხიარულება", მაგრამ დამაჯერებელი და ჭკუის სასწავლებელი, ვფიქრობთ, ძალიან ცოტაა. მოსწავლეები თამაზ მინდიაძე და ზალიკა მებანძე გადაწყვეტენ მიატოვონ სწავლა და მეტალურგიულ ქარხანაში წავიდნენ. ისინი გაიპარებიან რუსთავში. აქ მათ ღია ცის ქვეშ უხდებათ ლოდინი. რატომ? იქნებ ეს აუცილებელი იყო პიესის ლოგიკური განვითარებისათვის, ან იქნებ ეს მოქმედ პირთა ხასიათისა და ნებისყოფის გამოცდა იყო?

სრულიადაც არა. პიესის და სპექტაკლის ავტორებს ეს იმიტომ დასჭირდათ, რომ მაყურებლისათვის ეჩვენებინათ სრულიად ზედმეტი სცენა — სიცივით აკანკალებული ზალიკა ასრულებს სამღერ ეილარულ ცეკვას. შემდეგ ბიჭები შეხვდებიან შრომის გმირს შალვა კახიანს, რომელიც ურჩევს მათ დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ სკოლაში და განაგრძონ სწავლა.

თავისთავად ეს ცუდად როდია მოფიქრებული, მაგრამ მრავალ უმნიშვნელო და მცდარ სცენურ ვითარებაში ესეც უმნიშვნელო ეპიზოდადაა გადაქცეული.

ახალგაზრდა მასწავლებელი პირველ გაკვეთილს მოსწავლეთა გვარების ამოკითხვით იწყებს. ალბათ პიესის ავტორმა იფიქრა, ეს მოსაწყენი პროცედურა იქნებოდა და გადაწყვიტა ამ სცენის გამხიარულება.

— შენი სახელი? — ეკითხება მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს.

— ჰამლეტი — უპასუხებს იგი.

ამ სახელის წარმოთქმამ კლასში თავშეუკავებელი ხარხარი გამოიწვია. მასწავლებელი ქალი მოსწავლეთა ასეთ უდისციპლინობას დამშვიდებული ხვდება. სამაგიეროდ ამ სახელის ხსენებამ გამოიწვია საუბარი შექსპირზე. ერთ-ერთი მოსწავლე კითხულობს ჰამლეტის მონოლოგს „ყოფნა, არ ყოფნა"... გულაჩუყებული მასწავლებელი უყვება ბავშვებს შექსპირის ბიოგრაფიას.

კარგია, რომ მოსწავლემ იცის ჰამლეტის მონოლოგი, შექსპირის ბიოგრაფიის ცოდნაც არ აწყენს, მაგრამ ასეთი „გაკვეთილის" ჩასატარებლად არც დრო იყო და არც სიტუაცია. საერთოდ, პიესა ასეთ ხელოვნურ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელ სიტუაციებზეა აგებული.

პიესაში არის მეორე პედაგოგი — ისტორიის მასწავლებელი. ეს ახალგაზრდა მასწავლებელი [illegible] უმწეო [illegible] მეორე [illegible] ჩამოყალიბებული პედაგოგი. მისი გაკვეთილები გადატვირთულია [illegible] არა, არამედ მაყურებლებიც. [illegible] შესაძლოა გამოერიოს ცუდი ადამიანიც, მაგრამ ის არ უნდა გახდეს სცენური წარმოსახვის საგანი, ნორჩი მაყურებელი თეატრმა კარგის მაგალითზე უნდა აღზარდოს.

და თუ ჯერჯერობით არ გვაქვს მასწავლებლის მოღვაწეობის ამსახველი კარგი საბავშვო პიესა, ცუდს მაინც არ უნდა ვაჩვენოთ.

უმართებულო იქნებოდა არ აღვნიშნო როლების კარგი შესრულებები. ნ. მამალაძემ ახალგაზრდა მასწავლებლის როლში გარდასახვის ძლიერი უნარი გამოამჟღავნა.

მოსწავლეთა როლების კარგი შესრულებით გამოირჩევიან რ. თავართქილაძე, შ. ლორთქიფანიძე, ნ. ცერცვაძე, ლ. კოპაძე.

სრულიად ზედმეტი სახეა სპექტაკლში სკოლის დირექტორი. ამ როლში არაფრის გაკეთება არ შეეძლო მაყურებლებისათვის კარგად ცნობილ მსახიობს ფ. სოხლეშვილს.

შრომის გმირის შალვა კახიანის ისედაც სქემატურ როლს უფერულად ასრულებს ვ. ტორონჯაძე.

„როცა მთავრდება ბავშვობა" თეატრში დიდი მონდომებით მზადდებოდა. სპექტაკლში ბევრი ნიჭიერი მსახიობია ჩაბმული, დამდგმელ რეჟისორს შ. გაჩეჩილაძეს ცდა არ დაუკლია, რომ წარმოდგენა საინტერესო გამოსულიყო, მაგრამ პიესის სუსტ მხარეებს საჭირო ყურადღება არ მიაქცია და აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამართლებული სპექტაკლი ვერ შექმნა.

კონა მიქაძე.

შეხვედრა უფროსკლასელებთან

თბილისის მასწავლებლის სახლში მოეწყო კალინინის რაიონის უფროსკლასელთა შეხვედრა პოეტებთან. საღამო გახსნა მასწავლებლის სახლთან არსებული სასტრადო-თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელმა რ. უენიამ. პოეტები ნოდარ გურგენიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ლადო სულაბერიძე და ნოდარ შამანაძე დამსწრეებს ესაუბრნენ თავიანთ შემოქმედებით გეგმებზე და წაუკითხეს ახალი ლექსები. შემდეგ მოსწავლეები გამოვიდნენ თავიანთი ლექსების კითხვით და შეასრულეს სხვადასხვა სიმღერები.

ბაკურიანი. განთიადი.

ფოტო ნ. კილაძისა.

მწერალთა კავშირში

პრეზიდიუმის სხდომაზე

20 ოქტომბერს შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" დირექტორის პოეტ რევაზ მარგიანის საინფორმაციო მოხსენება გამომცემლობის მუშაობის შესახებ. გამომცემლობამ მიმდინარე წლის სამი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — გამოსცა 105 დასახელების წიგნი, ნაცვლად 101 წიგნისა.

— გამომცემლობა, — განაცხადა რ. მარგიანმა, — ცდილობს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ჩვენი ჟურნალების — „მნათობისა" და „ცისკრის" რედაქციებთან. ყოველ იმ საინტერესო ნაწარმოებს, რომლებიც მათ პორტფელშია, ვითვალისწინებთ მომავალი გეგმის შედგენისას. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება გამომცემლობის მუშაობაში.

თანამომხსენებლად გამოვიდა შალვა აფხაიძე.

— ეს იშვიათი შემთხვევაა, — თქვა მან, — რომ ჩვენს გამომცემლობას ჰქონდეს შესრულებული სამი კვარტალის გეგმა, როგორც დასახელებების, ისე ტირაჟებისა და ანაბეჭდების მიხედვით. შემდეგ მან აღნიშნა, რომ თუ წინათ რუსულ ენაზე წიგნების გამოცემის საქმე კარგად იყო დაყენებული, ახლა ის სერიოზულად ფერხდება საჭირო პოლიგრაფიული ბაზის უქონლობის გამო. შ. აფხაიძე შეეხო გამომცემლობაში შესულ წიგნებზე დაწერილ რეცენზიებს. აღნიშნა, რომ გამომცემლობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, რადგან ზოგჯერ იწერება არაპროფესიული რეცენზიები და ამის მიხედვით მსჯელობენ გამოსაცემ წიგნებზე.

მოხსენებათა ირგვლივ აზრი გამოთქვეს დემნა შენგელაიამ, მიხეილ მრევლიშვილმა, კარლო კალაძემ, ბესარიონ ჟღენტმა, მარკ ზლატკინმა, გრიგოლ აბაშიძემ და შიო დოლიძემ. მათ ილაპარაკეს გამომცემლობის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუსულ ენაზე სათარგმნ და გამოსაცემ წიგნებზე. აღნიშნეს, რომ ხელახლა უნდა გამოიცეს ზოგიერთი მწერლის რჩეული ნაწარმოებები.

პრეზიდიუმის სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა სერგი ჭილაიამ.

პრეზიდიუმმა განიხილა აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციაში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომის ჩატარების საკითხი. ეს სხდომა ახლო მომავალში ჩატარდება.

* * *

მთარგმნელთა სექციამ მოაწყო ცნობილი ლექსიკოლოგისა და მთარგმნელის ალექსანდრე ნეიმანის შემოქმედებითი საღამო. საღამო გახსნა შალვა აფხაიძემ. მოხსენება წაიკითხა როდიონ ქორქიამ, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ალ. ნეიმანის ცხოვრება და შემოქმედება. მომხსენებელმა განსაკუთრებით კარგი შეფასება მისცა მის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს".

ალ. ნეიმანის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ილაპარაკეს აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, გ. ჯიბლაძემ, მწერლებმა დ. შენგელაიამ, ლ. გოთუამ, ა. ბელიაშვილმა, პროფესორმა ვ. ჩანტლაძემ, დოცენტებმა ივანოვამ და ა. ჭინჭარაულმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა დ. ჩხეიძემ. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ალ. ნეიმანმა.

* * *

დღეს, 22 ოქტომბერს, პოეტების სექცია მწერალთა კლუბში მართავს ერთი ლექსის საღამოს.

დასაწყისი საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი მთაწმინდელის ხსოვნისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა ჩაატარა XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ.

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ბარამიძემ. მან ილაპარაკა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც გიორგი მთაწმინდელის ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს ჰქონდა ქართული მწერლობის ისტორიაში და აგრეთვე იმ როლზე, რომელიც შეასრულა სახელოვანმა ქართველმა მოღვაწემ მშობლიური კულტურის წინაშე, ათონის ლიტერატურული ცენტრის განვითარების საქმეში, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ ილაპარაკა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. მიმინოშვილმა. — გიორგი მთაწმინდელის თარგმანები — აღნიშნა მომხსენებელმა, — მაღალი ოსტატობით, დედანში ღრმად ჩაწვდომით, პოეტურობით დღესაც იწვევს მკითხველთა ყურადღებას. იშვიათია ქართული მწერლობის ისტორიაში მეორე ისეთი მთარგმნელი, რომელიც ამ მხრივ გიორგი მთაწმინდელს უტოლდებოდეს.

მწერლის ბიოგრაფიის, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" დაწერის თარიღის თაობაზე ახალი მასალები და მოსაზრებანი წამოაყენა ასპირანტმა ვ. აფციაურმა.

დანარჩენი მოხსენებებიც გიორგი მთაწმინდელის სახელთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებს ეხმაურებოდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ე. მეტრეველის მოხსენება — „ტერმინ „მეზურისა" და „მეხელის" გაგებისათვის" — ეხებოდა მეცნიერებაში ხანგრძლივ ქცეულ მეტად აქტუალურ საკითხს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული და მუსიკალური ძეგლების რაობის გარკვევასთან.

ბიზანტიელი მწერლის სვიმეონ ლოგოთეტის აღწერილ „გიორგი კაპადოკიელის წამების" ქართულ თარგმანს შეეხო მ. გიგინეიშვილი და გაარკვია, რომ მისი მთარგმნელია არა ექვთიმე ათონელი, როგორც აქამდე იყო მიჩნეული, არამედ — გიორგი მთაწმინდელი.

დიმიტრი მეავია

გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მეავია. მრავალი ათეულ წლის მანძილზე იგი დაუღალავად და გატაცებით იღვწოდა, ნიჭსა და გამოცდილებას არ იშურებდა ქართული სასცენო კულტურის განვითარებისათვის. დიმიტრი მეავია ერთი იმათთაგანი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა თეატრს და მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამაყად ატარა მისი წმინდა დროშა.

დიმიტრი მეავიამ თავიდანვე ყურადღება გულმოდგინებითა და შემოქმედებითი უშუალობით მიიქცია, იგი გვხიბლავდა უბრალოებითა და სიმართლით, პასუხისმგებლობის შეგნებითა და ანსამბლურობის გრძნობით. ამხანაგების მიმართ გულისხმიერი, კეთილი, ჩუმი და თავმდაბალი, საქმეში ყოველთვის პრინციპული იყო.

დიმიტრი მეავია დაიბადა 1896 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1916 წელს სწავლის გასაგრძელებლად ნოვოჩერკასკში გაემგზავრა, იქ საინჟინრო დარგზე შევიდა, მაგრამ თეატრით იმდენად იყო გატაცებული, რომ მალე თავი დაანება სწავლას. დაბრუნდა თბილისში და ჯაბადარის სათეატრო სტუდიაში შევიდა. ამიერიდან საბოლოოდ პოულობს თავის შინაგან მოწოდებას და მთელი არსებით ეძლევა აქტიორულ მოღვაწეობას.

დიმიტრი მეავია დაკვირვებით მუშაობდა. იგი ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ხასიათს, თავისებურად გაეაზრებინა და გულმოდგინედ გამოეძერწა. ამიტომ იყო, რომ მის მიერ განსახიერებულ როლებში იშვიათად შეხვდებოდით საჩოთირო ადგილებს, დიმიტრი მეავიას მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე შექმნილი სახეები არც ამოვარდნილი იყო ანსამბლიდან და არც მის მთლიანობას არღვევდა. ის მუდამ ხელს უწყობდა სპექტაკლის მონოლითურობას. ამიტომაც მსახიობის დამსახურება რუსთაველის თეატრის შემოქმედებით წარმატებაში თვალსაჩინოა. მის მიერ ამ თეატრის სცენაზე შექმნილი სახეები უდავოდ ამდიდრებენ ქართულ აქტიორულ კულტურას, მის უანგარო ღვაწლს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი მაყურებელი.

ამხანაგების ჯგუფი.

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

ნ. კალაძე — დიადი ეპოპეა. რედაქტორი — ნ. ალნიაშვილი, მხატვარი — ო. ვარძიაძე. გვ. 72, ფასი 18 კაპ.

დიმიტრი ჯანელიძე — ქართული თეატრი (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე). რედაქტორი — ი. თავაძე. გვ. 28, ფასი 10 კაპ.

„ნაკადული"

რევაზ ინანიშვილი — წვეთები ფოთლებზე. რედაქტორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — ი. ქლიბაძე. გვ. 184, ფასი 38 კაპ.

მ. ლოზეიმი — დაკარგული პირამიდა. თარგმანი — მ. ინასარიძისა. წინასიტყვაობა ვ. სტრუვესი. რედაქტორი — მ. დარახველიძე, მხატვარი — შ. დოლიძე. გვ. 136, ფასი 35 კაპ.

რედაქტორის მაგიერ ერ. ქარელიშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

გამოიწერეთ გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო"
1966 წლისათვის.
ხელმოწერის წლიური ფასია 5 მან. 20 კაპ.
6 თვით — 2 მან. და 60 კაპ.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 3-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 3-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბ-ტი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12905